საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 10 ივლისი, 2014 წელი.

№134 (7515)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჯოჯებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

არჩევნები ჩატარდა, როგორია ხვალის იმედი? 6 7

„ერგნეთის ბაზრობა“ იხსნება? 5

„უგულავას უსაფრთხოება უზრუნველ-ყოფილია“ 5

როგორ წაართვეს ირაკლი ოქრუაშვილმა და მისმა მეროგის კანდიდატმა ბიზნესმენებს წისქვილკომბინატი 7

ქართველი სერჟანტი – ჯიჰადის ლიდერი

ყოფილი სერჟანტის, ახლა კი რადიკალი ისლამისტების მეთაურის ომარ აშ შიშანის (თარხან ბათირაშვილი) მამა თემურ ბათირაშვილი მისი შვილის არჩევანში „ნაციონალურ მოძრაობას“ ადანაშაულებს.

თემურ ბათირაშვილს BBC-ს რუსეთის ბიუროს ჟურნალისტი ესაუბრა და გამოაქვეყნა სტატია, სათაურით „როგორ გახდა ქართველი სერჟანტი ჯიჰადის ლიდერი?“. სტატიაში ნათქვამია, რომ უკვე რამდენიმე თვეა, 28 წლის ომარ აშ შიშანის სახელი ყოველთვის ჟღერს სამხედრო ანგარიშებში სირიიდან.

11

„ჟილკა“ ბავშვები... 4

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი მწუხარებას გამოთქვამს ბატონ

ედუარდ შევარდნაძის

გარდაცვალების გამო; უსამძიმრებს მისი ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და ქართული კულტურის წარმომადგენლებს.

დღეს, როცა კითხულობ ან ისმენ მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების მეთაურთა, პრეზიდენტების თუ მსოფლიო პოლიტიკურ წრეებში მყოფ მეგობართა სამძიმრებს ბატონი ედუარდის გარდაცვალების გამო, შეიგრძნობ, რომ ისინი ნათლად, მკვეთრად აღნიშნავენ და ხაზს უსვამენ იმ დიდ საქმეთა ნუსხას, რაც ბატონ ედუარდს მსოფლიო პოლიტიკაში უკეთებია და, ამავე დროს, გულწრფელად უსამძიმრებენ ოჯახის წევრებსა და საქართველოს. აი, ამ გულწრფელობის ფონზე „ვეფხი და მოყმის“ ქვეყანაში — საქართველოში, ვხედავთ უკადრებელ, არაქართულ საქციელს, გარდაცვლილ ადამიანს პანაშვიდზე შეურაცხყოფენ და ამ უღირს ქმედებას ტელევიზიით აშუქებენ, რომლის კადრები მხოლოდ ბოსხის ნახატებს გვახსენებენ. ამ ზნედაცემულ მაგალითს ტელევიზია „დემოკრატიის“ ნიშნით გადმოსცემს. სინამდვილეში კი ყველაფერი ეს მხოლოდ საქართველოს აკნინებს.

მერაბ ბერძენიშვილი

9 ივლისი, 2014 წ.

დამშვიდობება ეპოქასთან? 3

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

სამძიმარი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის, საქართველოს ექსპრეზიდენტის

ედუარდ შევარდნაძის

გარდაცვალების გამო.

ედუარდ შევარდნაძეს ურთულეს, ეპოქალურ ცვლილებათა ჟამს მოუხდა ყოფილი საბჭოთა კავშირისა და დამოუკიდებელი საქართველოს საპასუხისმგებლო პოლიტიკურ პოსტებზე მოღვაწეობა და მან გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს უახლესი ისტორიის, მისი მომავალი განვითარების პრინციპებისა და მიმართულებების განსაზღვრაში, ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებაში.

ჩვენი მხრივ განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ის, რომ ედუარდ შევარდნაძე ყოველთვის კუთვნილს მიაგებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, ეროვნულ სამეცნიერო სკოლებს, აღიარებდა მათს გამორჩეულ მნიშვნელობას ქვეყნის დასამკვიდრებლად მსოფლიო თანამეგობრობაში და ხელს უწყობდა მეცნიერების სახელმწიფოებრივი როლისა და პრესტიჟის განმტკიცებას.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია უსამძიმრებს ედუარდ შევარდნაძის ოჯახს და ქართველ ხალხს მსოფლიოში ცნობილი მოღვაწის აღსრულების გამო!

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ვეტერან გენერალთა სამძიმარი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერანი გენერლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი

ედუარდ შევარდნაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გურამ გვეტაძე; ზოთა გორგოძე; ჯემალ გახოკიძე; კახა თარგამაძე; კობა ნარჩემაშვილი; რომან გვენცაძე; ილუმენი ილია (სანდრო კავსაძე); დავით სალარიძე; დემურ მიძაძე; ზურაბ ჩხაიძე; თემურ მურღულია; ჯემალ ჯანაშია; ჯუმბერ სურმავა; გივი ლობჟანიძე; მიხეილ ბეჟანიძე; შენგელი ფიცხელაური; ვასილ დავითაია; ედუარდ გენძეხაძე.

მწუხარებას გამოვთქვამ თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწის

ედუარდ შევარდნაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებ მის ოჯახს.

მარიამ ლორთქიფანიძე

ნოდარ ჭითანავა, ბორის სარალიძე, ავთანდილ საყვარელიძე და ნიკოლოზ ნეფედოვი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, ბატონ

ედუარდ შევარდნაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური, თბილისის საქალაქო და რაიონული კავშირები საქართველოში მცხოვრები ვეტერანების სახელით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საქართველოს ექსპრეზიდენტის

ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო საზოგადოება „ცოდნის“ თანამშრომლები და პროფესორ-მასწავლებლები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსის, გამოჩენილი დიპლომატისა და პიროვნების, მეცნიერებისა და კულტურის სხვა სფეროებთან ერთად საზოგადოება „ცოდნის“ დიდი მოამაგის, ბატონ

ედუარდ შევარდნაძის

გარდაცვალების გამო და გულწრფელად უთანაგრძნობენ მის დიდ ოჯახს.

რუსთაველის თეატრი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის

ედუარდ შევარდნაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის სრული შემადგენლობა ღრმა მწუხარებით იუწყება მსოფლიოში აღიარებული პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრის, ბატონ

ედუარდ შევარდნაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და სრულიად საქართველოს.

აკადემიის სახელით აკადემიის პრეზიდენტი
პროფესორი თეიმურაზ ბაბუნაშვილი

არჩილ ხომასურიძე და რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ბატონ

ედუარდ შევარდნაის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ქალთა საბჭო მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს მე-20 საუკუნის თვალსაჩინო პოლიტიკოსის, ბატონ

ედუარდ შევარდნაძის

გარდაცვალების გამო.

◎ ინფორმაცია

პარლამენტი ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულების რატიფიცირებას 18 ივლისს მოახდენს

პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევის თხოვნით პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი პრეზიდენტს უახლოეს დღეებში მიმართავს.

როგორც უსუფაშვილმა გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, სარატიფიკაციო დოკუმენტი მთავრობიდან პარლამენტს დღეს წარედგინება.

მომავალი კვირის განმავლობაში, 15, 16, 17 ივლისს დაგეგმილია საკომიტეტო მოსმენები, ხოლო 18 ივლისის რიგგარეშე სხდომაზე მოხდება დოკუმენტის რატიფიცირება.

ამასთან, დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, რომ გამორიცხული არ არის, ამ დღეს საქართველოში მაღალი დონის სტუმრები ჩამოვიდნენ.



ამასთან, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოციირების ხელშეკრულებს პოლონეთის პარლამენტის მიერ რატიფიცირებას გამოეხმაურა პოლონეთის პარლამენტის თავმჯდომარე ბოგდან ბორუშევიჩი, რომელიც თბილისში იმყოფება და დავით უსუფაშვილს შეხვდა.

მისი თქმით, ამ თვალსაზრისით პოლონეთის პარლამენტში არავითარი პრობლემა არ არსებობს და მას შემდეგ, რაც საგარეო უწყება პარლამენტს სარატიფიკაციო ტექსტს მიაწვდის, უმოკლეს ვადაში მოხდება მისი რატიფიცირება.

„პოლონეთი ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იქნება, ვინც ხელშეკრულების რატიფიცირებას მოახდენს, — განუცხადა ჟურნალისტებს პოლონეთის სენატის მარშალმა ბოგდან ბორუსევიჩმა.

მისი მხარდაჭერა ჩვენი თაობისთვის იმ დროს ბევრს ნიშნავდა

ფონდ „იავნანას“ დამფუძნებელი პაატა ბურჭულაძე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალების გამო მის შვილებსა და ოჯახის ახლობლებს უსამძიმრებს.

„არ შემიძლია, არ აღვნიშნო, მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება ქართული კულტურისა და ყველა თაობის ხელოვანებისადმი, ის ნიჭიერების დიდი დამფასებელი გახლდათ. მახსენდება 80-იანი წლები, თბილისის ოპერის თეატრისთვის ერთ-ერთი საუკეთესო ხანა, მაშინ ძალიან ახალგაზრდები ვიყავით და გვეძლეოდა შესაძლებლობა, მივსულიყავით ქვეყნის პირველ პირთან, ბატონ ედუარდთან და თეატრის პრობლემების შესახებ გულწრფელად გვესაუბრა, მისი მხარდაჭერა ჩვენი თაობისთვის იმ დროს ბევრს ნიშნავდა. ისიც უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ცენზურის პირობებში ალბათ, საქართველო იყო ის გამონაკლისი ქვეყანა, სადაც აკრძალული ხელოვნების ნაწარმოები თითქმის არ არსებობდა.

ბატონი ედუარდი ისტორიული პიროვნება გახლდათ, რომლის სახელი არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის, არამედ მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებასაც დაუკავშირდა, — აღნიშნულია სამძიმრის წერილში.

ედუარდ შევარდნაძის წვლილი გერმანიაში არასოდეს დაავიწყდებათ

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ანგელა მერკელი ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალებას მის ოჯახს და ქართველ ხალხს უსამძიმრებს, — ამის შესახებ ს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს.

— დიდი მწუხარებით შევიტყვე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალების ამბავი. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მან განუმეორებელი წვლილი შეიტანა ცივი ომის დაძლევისა და გერმანიის გაერთიანების საქმეში. მისი ეს წვლილი გერმანიაში არასოდეს დაავიწყდებათ. საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე მძიმე წლებში წინდახედულობითა და პასუხისმგებლობით განამტკიცა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა, გააძლიერა თანამშრომლობა და მეგობრობა საქართველოსა და გერმანიას შორის. ვუსამძიმრებთ მის ოჯახს და ქართველ ხალხს, — ნათქვამია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის სამძიმრის განცხადებაში.

მნიშვნელოვანია მისი როლი ცივი ომის დასრულების საქმეში

თურქეთის ყოფილი და მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლები საქართველოს მეორე პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამენ.

შევარდნაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით თურქეთის მოქმედმა პრეზიდენტმა აბდულაჰ გიულიმ და ექსპრეზიდენტმა სულეიმან დემირელიმ საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს სამძიმრის წერილი გამოუგზავნეს.

— საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, როგორც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ცივი ომის დასრულების საქმეში, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის რანგში მან დიდი წვლილი შეიტანა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ურთიერთობების განვითარების პროცესში, — ნათქვამია აბდულაჰ გიულის წერილში.

თურქეთის ყოფილი პრეზიდენტი სულეიმან დემირელი მარგველაშვილისადმი გადაგზავნილ სამძიმრის წერილში ხაზს უსვამს შევარდნაძის დამსახურებას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ერზრუმი-თბილისი-ბაქოს გაზსადენის ინიციატივების განხორციელებაში, დერინარის კაშხლის მშენებლობასა და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა, თავის მხრივ, სამძიმრის წერილი გამოუგზავნა თავის ქართველ კოლეგას ირაკლი ღარიბაშვილს.

— ჩემი ხალხის, მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით ღრმად ვუთანგრძნობ მეგობარ და მეზობელ ქართველ ხალხს, ხოლო თქვენი შუამდგომლობით გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს ვუსურვებ გამძლეობას, — ნათქვამია ერდოღანის წერილში.

ედუარდ შევარდნაძის გარდაცვალების გამო, ასევე, ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აჰმედ დავითოღლუ თავისი ქართველი კოლეგის მაია ფანჯიკიძისადმი გაგზავნილ სამძიმრის წერილში.

საქართველო უშევარდნაძეოდ: დაეშვიდობება ეპოქასთან?

წავიდა ჩვენგან ედუარდ შევარდნაძე, მასთან ერთად კი წარსულს ჩაბარდა მთელი ეპოქა საქართველოს თანამედროვე ცხოვრებაში. სხვათა შორის, ბევრისთვის ეს არის არა ისტორია, არამედ სიცოცხლის ნაწილი, თანაც, საკმაოდ ხანგრძლივი.

მახსენდება ჩემი უკანასკნელი შეხვედრა ედუარდ შევარდნაძესთან – მისი დაბადების 85 წლისთავის დღეს. საზეიმო სუფრაზე შეიკრიბნენ მისი ყველაზე ახლობელი ადამიანები: შვილები პაატა, მანანა ოჯახებით, ნათესავები, მეგობართა ვიწრო წრე. მაგიდის ცენტრში ადგილი თავად ედუარდ შევარდნაძემ დაიკავა. მაგრამ, ყველანაირად იგრძნობოდა, რომ წლებმა ბევრი რამ წაიღო, შეარყია პრეზიდენტის ჯანმრთელობაც. ის თითქმის არ ერთვოდა გაცხოველებულ საუბარში მაგიდაზე, დუმილით ღებულობდა სადღეგრძელოებს თავისი მისამართით.

მოგვიანებით მქონდა მასთან რამდენიმე სატელეფონო საუბარი. შემდგომ, დაახლოებით ათი თვის შემდეგ, 2013 წლის დეკემბერში მივიღეთ მილოცვა, რომელიც ედუარდ შევარდნაძემ გამოგვიგზავნა ჩვენი გაზეთის – „ვეჩერნი ტბილისის“ პირველი ნომრის გამოსვლიდან 90-წლისთავთან დაკავშირებით. თბილი, გულში ჩამწვდომი მილოცვა ადამიანისა, რომელმაც შესანიშნავად იცის მართალი სიტყვის ფასი და შეუძლია მკაფიოდ და ნათლად გამოხატოს თავისი აზრები. დიახ, შევარდნაძე იყო უკიდურესად ყურადღებიანი როგორც საზეიმო, ისე სამწუხარო თარიღებისადმი.

მემუარებიც, დღიურებიც დამეხმარნენ გამეგო ბევრი ახალი და საინტერესო ამბავი ადამიანზე, რომელსაც ყოველთვის პატივს ვცემდი. შევარდნაძე ხომ განასახიერებდა თანამედროვე საქართველოს, მის მდიდარ შესაძლებლობებსა და ძლიერ პოტენციალს... უფლებას დაეკავებინა ღირსეული ადგილი იმ დროის პოლიტიკურ ცხოვრებაში. და ყოველივე ამასთან დაკავშირებით გამემრავალფეროვნებინა შთაბეჭდილებები, რომლებიც დამიგროვდა პირადი შეხვედრების, ბრიფინგებსა და პრესკონფერენციებში მონაწილეობის, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის, საბჭოთა და ამჟამად საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის შემუშავების კომისიის მუშაობაში მონაწილეობის, მრავალი ინტერვიუს, შევარდნაძის ჟურნალისტური ჯგუფის შემადგენლობაში უცხოეთში მოგზაურობის, და, რასაკვირველია, წაკითხული მემუარების, დღიურების წყალობით, რის შედეგადაც ჩემს შემეცნებაში ყალიბდებოდა სახელმწიფო მოღვაწის, პოლიტიკოსის, იმ ადამიანის სახე, ვის შესახებაც მინდა დღეს ვისაუბრო.

დიახ, მქონდა შესაძლებლობა მემუშავა მასთან საქართველოში, თვალყური მედევნებინა მისი მოღვაწეობისთვის მოსკოვსა და უცხოეთში, მესმინა მისი გამოსვლებისთვის. და, რა თქმა უნდა, წიგნები... შთაბეჭდილებათა უამრავი რაოდენობა, დაკვირვებანი, საბჭოთა საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი პირის ისეთ თანამოსაუბრეთა და პარტნიორთა პოლიტიკური პორტრეტების ბრწყინვალე აღწერა, როგორებიც არიან და იყვნენ დენ სიაოპინი, რეიგანი, კოლი, ჰონეკერი, ჩაუშესკუ, სადამ ჰუსეინი, კიმ ირ სენი, კიმ ჩენ ირი... ყველა ეს პერსონაჟი დანახულია და აღქმული ლიტერატურულად ლამაზად და მკაფიოდ. და პოლიტიკური სახეების ბრწყინვალე გალერეაში თანაბარი თანაბართა შორის არის თავად ედუარდ შევარდნაძე.

ერთი, ჩემი შეხედვით, ერთობ საინტერესო დეტალიც. თავისი საქმიანობა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შეფის პოსტზე ედუარდ შევარდნაძე დაიწყო 1985 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირი ძლიერ სუპერსახელმწიფოს წარმოადგენდა და დაამთავრა 1991 წელს, მოახლოებული ქაოსისა და სსრ კავშირის მომავალი დაშლის ვითარებაში. ბუნებრივია, მანევრის შესაძლებლობანი იმ საგარეოპოლიტიკური უწყებისა, რომელსაც შევარდნაძე ხელმძღვანელობდა, ამ დროისათვის მკვეთრად შეზღუდული აღმოჩნდა, ოპონენტებსა და პარტნიორებზე პოლიტიკური გავლენის ინსტრუმენტარიები პრაქტიკულად მინიმუმამდე იყო დაყვანილი. მიუხედავად ამისა, სამინისტროც, მისი შეფიც არ ანელებენ აქტიურობას და ძველებურად დაბეჯითებით ცდილობენ განახორციელონ ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ გამომუშავებული საგარეოპოლიტიკური კურსი.

ამჟამად, როდესაც ედუარდ შევარდნაძე ემშვიდობება თავის უკანასკნელ ამქვეყნიურ გზას, ძნელია, გვერდი აუარო საუბარს მის როლზე თანამედროვე ისტორიაში. ზოგჯერ გესმის, აიო, ის არ იყო მზად მისთვის ბედისგან განწესებული მნიშვნელოვანი მისიისთვის სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შეფის პოსტზე, ვინაიდან არ გააჩნდა სათანადო დიპლომატიური გამოცდილებაო. ასე იყო ეს განა?

ჩემი მხრიდან კი ამ შეკითხვას ასე ვუპასუხებდი: ედუარდ შევარდნაძეს დიდხანს ეკავა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტი. შეიძლება დაასახელო რომელიმე სხვა სარბიელი მაშინდელ სსრ კავშირში, სადაც ადამიანს შეეძლებოდა შეეძინა მეტი დიპლომატიური გრძნობა და მოეპოვებინა მეტი დიპლომატიური გამოცდილება, ვიდრე ის, რითაც შევარდნაძე მოქმედებდა. და მართლაც, შეეძლოთ განა რეიგანს შულცთან ერთად რაიმეთი გაეოცებინათ ადამიანი, რომელიც აგებდა ურთიერთობას, ზოგჯერ მეტად რთულსაც, ბრეჟნევთან, კოსიგინთან, ანდროპოვთან, სუსლოვთან?!.

დიახ, ჩვენ სხვა დროს ვცხოვრობთ და, ალბათ, ბევრს აღარც ახსოვს ამჟამად ის, რომ სწორედ ედუარდ შევარდნაძის წყალობით 1978 წლის გაზაფხულზე შევძელით დაგვეცვა საქართველოში მშობლიური ენის სტატუსი. შეგახსენებთ: საკითხი შეეხებოდა მცდელობას ამოეღოთ ენის სტატუსის ხსენება საქართველოს ახალი კონსტიტუციიდან. ინიციატივა, ბუნებრივია, მოდიოდა ზევიდან, კრემლიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს იდეოლოგიური სეგმენტიდან, კონკრეტულად კი – მიხეილ სუსლოვიდან, დიდგავლენიანი ხელმძღვანელისაგან, რომელიც კურირებას უწევდა იდეოლოგიის საკითხებს მაშინდელი სსრ კავშირის მთელ სივრცეში.

რასაკვირველია, ქართველი საზოგადოებრიობის ყველაზე ფართო წრეებში ამ იდეამ უსიამოვნება და აღშფოთება გამოიწვია: რა უფლებით და რა საფუძველზე იღებდნენ კონსტიტუციიდან პუნქტს სტატუსის შესახებ, რომელიც შენარჩუნებული იყო რესპუბლიკის წინა ძირითად კანონში ორმოცზე მეტი წლის განმავლობაში?

1978 წლის 14 აპრილის უნიკალობა საქართველოს თანამედროვე ისტორიაში არის ის, რომ ამ დღეს ქართველი საზოგადოების ყველა ფენა გაერთიანდა ერთი საერთო მიზნით. დაე თუნდაც დროებით, მაგრამ გვერდზე გადადეს დაპირისპირება მამებსა და შვილებს შორის, მაძღრებსა და მშივრებს შორის, მდიდრებსა და ღარიბებს შორის, მუშებსა და ინტელიგენციას შორის, პარტიულ ნომენკლატურასა და ოპოზიციას შორის. სკოლის პედაგოგები მოდიოდნენ დემოსტრაციების კოლონებში თავიანთი მოსწავლეების გვერდით, პროფესურა იდგა სტუდენტების გვერდით. მაღალი რანგის პარტიული და სახელმწიფო ჩინოვნიკები, თითქოს დაივიწყესო მომავალი საფრთხე თანამდებობებიდან გადაყენების შესახებ, აშკარად გამოხატავდნენ აღშფოთებას პოლიტბიუროდან იდეოლოგების ჩანაფიქრის გამო. თანაც ყველა ეს, თითქოსდა უმართავი აქცია კოორდინირებული იყო ერთიანი ცენტრისგან, რისი ადგილმდებარეობის შესახებაც შეიძლებოდა მხოლოდ გემკითხავა. მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორი სერიოზული ადამიანები იყვნენ ჩართული ყველა ამ აქციაში, ნათელი ხდებოდა: ხალხის პროტესტს ჰყავს გაუხმაურებელი მხარდაჭერა ადგილობრივი ქართული ხელისუფლების უმაღლესი ინსტანციებიდან.

მოვლენათა საკვანძო ფიგურა, რასაკვირველია, იყო ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელი, ვისი გადაწყვეტილებაც (ეს, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, მისი გადაწყვეტილება იყო) ახალ კონსტიტუციაში დარჩეს ძველი პუნქტი ქართული ენის სტატუსის შესახებ – დიდ მამაცობას მოითხოვდა.

რასაკვირველია, ახლაც, მომავალშიც ედუარდ შევარდნაძეს შეადარებენ საქართველოს სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებს. ამასთან დაკავშირებით ასე ვიტყოდი: ნებისმიერი ამგვარი შედარება – არაკორექტულია. გავავლოთ პარალელი თუნდაც ფეხბურთთან. შეიძლება განა შევადაროთ ერთმანეთს პელე და მესხი, რომლებიც მოედანზე, რასაც ფეხბურთი ეწოდება, სხვადასხვა ეპოქებს ქმნიდნენ? სასაცილო შეითხვაა. ანდა დავსვათ ეს შეკითხვა სხვაგვარად: ქართველ ფეხბურთელთაგან ვინ უფრო წარმატებული იყო – ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი თუ კახი კალაძე? თუ გავითვალისწინებთ, რომ არც ბორის პაიჭაძე, არც მიხეილ მესხი საქართველოს არც ერთ მთავრობაში არასოდეს ყოფილან, კახი კალაძე კი – არა, უბრალოდ, მინისტრი და ვიცე-პრემიერია, არამედ საქართველოს მთავრობის მეტად შეძლებული წევრიც, პასუხი თავისთავად ნაცნობია. მაგრამ ყველაფერი, როგორც კარგად გესმით კიდეც, არც ისე მარტივია.

ედუარდ შევარდნაძე საქართველოს ხელმძღვანელი 44 წლისა გახდა. და უკვე მისი განმასხვავებელი ნიშნები იყო დიდი ქარიზმა, საფუძვლიანობა, სიმყარე. მას ჰქონდა რეპუტაცია ადამიანისა, რომელიც უბრალოდ არ ისვრის სიტყვებს ბანზე, ვინაც იცის, თუ რას აკეთებს და რას ამბობს. რესპუბლიკის იმ თაობას მოსწონდა, რომ პირველი პირის დაპირებებს აქვს წონა და ძალაც. მისგან არასოდეს მოუსმენიათ, რომ, როგორც ხალხში იტყვიან, „წამოროშაო“. მახსოვს, თბილისში რომ ჩამოვიდა უკვე მაშინ დისიდენტი ეგორ იაკოვლევი, სახელგანთქმული „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ მომავალი რედაქტორი, იმ დროს კი გაზეთ „იზვესტიას“ მიმომხილველი, ჩემი თანაკურსელი და კოლეგა ტატიანა ჭანტურია, რომელიც „იზვესტიას“ წარმოადგენდა საქართველოში, შემდეგ მიყვებოდა, როგორი სკეფსისით მიდიოდა იაკოვლევი შევარდნაძესთან შეხვედრაზე და როგორ აღფრთოვანებული დაბრუნდა ამ შეხვედრიდან. მეშინია, რომ ბევრი ჩვენი დღევანდელი პოლიტიკოსი ვერ შეძლებს მოახდინოს თანამოსაუბრეზე ისეთივე შთაბეჭდილება ღრმა ერუდიციით, დარწმუნების უნარით.

გავიხსენებ კიდევ ორ ჩანაწერს – ამჯერად საკუთარი ბლოკნოტიდან. ეს ჩანაწერები გაკეთდა თბილისში ირანის საელჩოში – შევარდნაძის მემუარების „აზრები წარსულსა და მომავალზე“ პრეზენტაციაზე ფარსის ენაზე 2010 წელს. ერთი მათგანი პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანს ეკუთვნის:

„ედუარდთან ვმეგობრობ ნახევარ საუკუნეზე მეტია, მაგრამ ის მიყვარს არა იმისთვის, რომ ის ჩემი მეგობარია, არამედ იმისთვის, თუ რა გააკეთა მან საქართველოსთვის: კულტურის სფეროშიც, განათლების სფეროშიც, ადამიანის უფლებათა სფეროშიც, მათ შორის, სიტყვის თავისუფლების სფეროშიც. ედუარდ შევარდნაძისადმი პატივისცემას გამოხატავდა ჩვენი პლანეტის ბევრი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე. ამიტომ ვაკეთებ მარტივ დასკვნას. თუ ადამიანს პატივს სცემს დენ სიაოპინი, თუ მას პატივს სცემენ რეიგანი, კოლი, ტეტჩერი, გენშერი, ჰომეინი, ბეიკერი, მაგრამ არ სცემ პატივს შენ, მაშასადამე, ეს არის არა მისი, არამედ შენი უბედურება!“

მეორე გამონათქვამის ავტორი პარლამენტის ყოფილი ვიცე-სპიკერი რუსუდან ბერიძეა, რომელმაც 1992 წლის მარტის დღეები გაიხსენა, როდესაც ედუარდ შევარდნაძე ჩამოვიდა საქართველოში: „ქვეყანას ანგრევდა შინაომები. იმ დროს ყოველი თვითნაზარდი ე. წ. „პოლიტიკური“ მოღვაწის უკან იდგა დიდი ან პატარა შეიარაღებული დაჯგუფება, რომლებიც მზად იყვნენ პირველივე ბრძანებაზე გაეხსნათ ცეცხლი მოპირდაპირე ბანდისთვის. შევარდნაძეს კი არაფერი გააჩნდა, გარდა სიყვარულისა თავისი ქვეყნისადმი, შეშფოთება მისი ბედის გამო. ცოტა ვინმე თუ ელოდებოდა, რომ ისეთი ქაოსიდან, რომელშიც ქვეყანა იმყოფებოდა, შეიძლებოდა ამომძვრალიყავი, მაგრამ დრო მიდიოდა და ცხოვრება თანდათან ლაგდებოდა. ძალიან მინდოდა მეცოცხლა იმ დღემდე, როდესაც ედუარდ შევარდნაძის დამსახურებანი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში ღირსეულად იქნება შეფასებული“.

რასაკვირველია, სასაცილოა ილაპარაკო იმაზე, რომ ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურ მოღვაწეობაში ყველაფერი და ყოველთვის წარმატებით მიმდინარეობდა. ვაი რომ, ეს ასე არაა. მაგრამ ამის გახსენებას და ამაზე საუბარს დღეს ძნელად რომ ჰქონდეს აზრი. ამასთან დაკავშირებით ვიტყოდი ტრადიციულად: საბოლოო ვერდიქტს შევარდნაძის ადგილსა და როლზე გასული ათწლეულების ყველა პერიპეტიაზე ისტორია გამოიტანს.

მე კი ერთს დავუმატებდი: 2003 წლის ნოემბერში შევარდნაძე რომ ყოფილიყო არა 75 წლის, არამედ თუნდაც 10-15 წლით ახალგაზრდა, იგი, რა თქმა უნდა, „ბეჭებზე დასცემდა“ ყველა თავის ყოფილ „აღზრდილებს“, ვინც მას გამოწვევა გაუგზავნა პოლიტიკურ სარბიელზე საქართველოში. და ჩვენ, თქვენთან ერთად, ალბათ, ვერასოდეს ვერ გავიგებდით ვერანაირ „ვარდების რევოლუციაზე“. იგი უბრალოდ არც მოხდებოდა!

ხოლო თუ არ დაველოდებით ისტორიის ვერდიქტს და ამჟამად მოკლედ ორი სიტყვით შევაფასებდით მას? პასუხი, ალბათ, ასეთი იქნება: მომავლისათვის როგორც არ უნდა აეწყოს საქართველოს ბედი, ვინც უნდა იდგეს ამ ქვეყნის საჭესთან, მისი საძირკველი იქნება ერთი – იგი, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ედუარდ შევარდნაძემ და რომელიც იყო ედუარდ შევარდნაძის დროს.

ვალიმ ანასტასიადი,
გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი.

„ჟილკა“ ბავშვები...

აფსუს, რა დრო იყო: ციხის სკანდალური კადრების გასაჯაროვების შემდეგ მეცოცხეებად მონათლული ნაცების ოფისები დაიკეტა, პარტიის ლიდერები გასაქცევად ემზადებოდნენ, ხოლო დამნაშავეთა პარტიის იდეური თუ მერკანტილური რიგითი მხარდამჭერები ხმის ამოღებას კი არა, ქუჩაში ცხვირის გამოყოფას ვერ ბედავდნენ!

მაგრამ ეს ყველაფერი მაშინ დამთავრდა, როდესაც 1 ოქტომბრის არჩევნებზე ნაციონალურ მოძრაობას მათმა დასავლეთელმა პატრონებმა მაინც 40 % დაუწერეს, ანუ, უფრო სწორედ, კი არ დამთავრდა, მაშინ დაიწყო ნაცების გადასარჩენად აშშ-ის სპეცოპერაცია კოდური სახელით „კოჰაბიტაცია“...

ჰოდა, ნელ-ნელა დაბრუნდნენ საქართველოში არჩევნების შემდეგ გაქცეულები. მაგალითად დიმიტრი შაშკინი, რომელიც ჯერ ნიუ-იორკის ფეშენებელურ აპარტამენტებში რამდენიმე თვე განცხრომით ცხოვრობდა და საქართველოში დაბრუნებულ, სასჯელაღსრულების, განათლების და ბოლოს თავდაცვის (რიგითობა დაცულია — **დ.მ.**) ნამინისტრალს ჯერჯერობით, როგორც იტყვიან, „ცხვირთან ბუზიც ვერავინ აუფრინა“ და „ყურებზე ხახვიც ვერავინ დააჭრა“, როგორც მინიმუმ პირველი მინისტრობის დროს ციხეებში პატიმართა წამების გამო, რადგანაც, როგორც ამბობენ, დიმა შაშკინი აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ დიდი ხნის წინათ „დაერბოვკებული“ ნომრიანი აგენტიაო?!

მაშ, ბაჩო ახალაია და ვანო მერაბიშვილიო, თითქოს ნიშნს მომიგებს მავანი?! არა, ბატონებო, მიუხედავად ყველაფრისა, ორივე „შიდამოხმარების“ ფიგურები არიან, თუმცა, ამერიკელ პატრონთა კოჰაბიტაციური ხელი მათ მიმართაც იგრძნობა — იმის მაგივრად, რომ ბუტა რობაქიძის, სანდრო გირგვლიანის, ზურა ვაზაგაშვილის, 7 ნოემბრის, 26 მაისის მთავარი შემოქმედისთვის, თუნდაც მხოლოდ „ორი ტრუპი მინდას“ გამო სამუდამო პატიმრობა მიესაჯათ, თუ ასე გაგრძელდა, სულ მალე ვიხილავთ „სვაბოდაზე“ მერაბიშვილს ამერიკელთა საყვარელი „ციხეში სანიმუშო ყოფაქცევის“ ფორმულირებით, ხოლო, რაც შეეხება ბაჩანას, რომელიც „უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევით“ ქართველ საზოგადოებას სადისტ მკვლელად რომ მიაჩნია, მხოლოდ ვაშლის გათლაზე და სხვა არაადეკვატური ბრალდებებით რომ დაიჭერ და ამასაც ვერ დაუმტკიცებ, ეს უკვე არა იმდენად ამერიკის, არამედ კოტე კუბლაშვილის უსამართლო სასამართლოს ბრალია, რომლის მოსამართლეების 99% ისეთივე და იქნებ უფრო მეტად დამნაშავენიც არიან, ვიდრე მერაბიშვილ-ახალაიები ერთად აღებულნი, რადგან სწორედ მათ გაასამართლეს მერაბიშვილის მიერ დაჭერილი 350 ათასი კაცი და თითქმის ამდენივე გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანეს საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობის 1/4-ს...

აი, ამისთანების გამოა, რომ ქართველი საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ (ხელისუფლების უმრავლესობისგან განსხვავებით) ვერაფრით მიიღო მეცოცხეების მთავარ ოპოზიციურ ძალად აღიარების კოჰაბიტაციური იდეა და ფიგურალურად თუ ვიტყვით, დღემდე მათ სისხლს მოითხოვს...

ამიტომ ხვდება საზოგადოება ყოფილი მაღალჩინოსნების დაპატიმრების თუ დაუსწრებლად ბრალის წაყენების ჯერჯერობით იშვიათ ფაქტებს აშკარა კმაყოფილებით და პირიქით, მათ ამა თუ იმ ფორმით გამართლებას მდუმარე მრისხანებით, მაგრამ...

ვისაც სრულფასოვანი ბავშვობა გაუვლია, ანუ მათ, ვისაც „ეზოში გაშვებაზე“ მშობლების დათანხმება არ უჭირდა, დამეთანხმებით, რომ ეზოს თავისი კონსტიტუცია, ანუ ქცევის, თამაშის წესები ჰქონდა, რომლის დამრღვევი ე.წ. „ჟილკა ბავშვები“ მკაცრად, ცემითაც კი ისჯებოდნენ. თუმცა, ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ ასეთი „დამნაშავე“ სახლში შეგასწრებდა და მოკლე ხანში უკვე რომელიმე მშობელთან ხელჩაკიდებული გამოვიდოდა, რაც „აბა ახლა ხელი მახლე თუ ბიჭი ხარო“, ამას ნიშნავდა და იქვე, იმ წუთში დაუსჯელობაში დარწმუნებული დაგეჯღანებოდა, ან ენას გამოგიყოფდა.

დღევანდელი ნაცბანდის ელიტაც იმ „ჟილკა“ ბავშვებს მაგონებს — ესენი, აშშ მაღალჩინოსნებთან ხელჩაკიდებულნი და აქედან დაუსჯელობაში დარწმუნებულნი, ლამის 2 წელიწადია ტელეეთერებიდან გვეჯღანებიან და ენას გვიყოფენ!

„ამავე ოპერიდან“ არის სპეციალურად ნაცბანდის დასაცავად, მათი პოლიტიკური პარტიის რეაბილიტაციისთვის შექმნილი „ასო“, ე.წ. თავისუფალი ზონა, რომელიც ნაცებისგან უხვად დაფინანსების სანაცვლოდ მერაბიშვილ-ახალაიების მსგავსი სადისტების, სისხლის სამართლის დამნაშავეების მხარდამჭერი აქციების მოწყობასაც ბედავენ, ანუ ესენიც გვეჯღანებიან და ენას გვიყოფენ ქართველ საზოგადოებას, რისი ბოლო დასტურიც გიგი უგულავას დაპატიმრების შემდეგ, სასამართლოს ეზოში მომხდარი ინციდენტია.

უგულავას დაპატიმრება ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის პერიოდის პირველი ხმაურიანი საქმეა და ახლო მომავალი გვიჩვენებს, თუ რა არის ეს, „უგულავების გულაობის“ დასასრულის, ანუ ზოგადად სამართლიანობის აღდგენის რეალური დასაწყისი თუ ყოფილი მერის მიმართ დაწყებული მორიგი ფარსი, რომელიც დროსა და სივრცეში უსასრულოდ გაიწელება და ვანო მერაბიშვილის მსგავსად გიგიც არაადეკვატურად დაისჯება...

წინამდებარე წერილის დაწერა იმან განაპირობა, რომ სასამართლოს ეზოში მომხდარი გაწევ-გამოწევის დროს, ქალბატონი სერგო (მაია) ორჯონიკიძის თუ ხათუნა გოგორიშვილის გვერდით პირველად ვიხილეთ კოტე გაბაშვილიც.

მაშინვე ტელეფონს ვეცი და იტალიაში საქართველოს ყოფილი დესპანის „დაუძინებელ მეგობარს“, ბატონ რეზო ამაშუკელს დავურეკე, ნახეთ, „დეზერტირების ბაზრის კანტრალიორი“ რა დღეშია-მეთქი...

ბატონი რეზო ხომ არამხოლოდ ბრწყინვალე პოეზიითაა ცნობილი, არამედ ოდიოზური პიროვნებებისთვის ზუსტი „თიკუნების“ მიწებებითაც — მარტო „გალსტუკიანი ხვლიკი“, რად ღირს, რომელიც ისე მიეწება ქდმ-ს ლიდერ გიორგი თარგამაძეს და მის პარტიასაც, რომ... — ასეთივე შედეგრი მგონია დეზერტირების ბაზარიც...

ჰოდა, ეს ის „კანტრალიორია“, რომელიც, კომუნისტებიდან მოყოლებული მუდამ ორ სკამზე იჯდა. ზვიად გამსახურდიას ეროვნული მთავრობის ჩამოგდებაშიც მამა-შვილმა გაბაშვილებმა ავტომატით ხელში საკუთარი წილი, ლომის ვერა, მაგრამ „ვიგოდნიკი“ „კურდღლის წილი“ დაიდეს.

უკვე შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ, თუ არ ვცდები, თამაზ კვაჭანტირაძის მინისტრობისას განათლების სამინისტროში მაღალი პოსტი ეკავა, შემდეგ კი აწ ცხონებულმა შევარდნაძემ გერმანიაში ელჩად გაამწესა. პარალელურად მისი ვაჟი, იმავე რეზო ამაშუკელის მიერ „ზოოპარკის გველიჭამია ბუდ“ მონათლული გოკა გაბაშვილი იმავე შევარდნაძეს სააკაშვილთან ერთად ძირს უთხრიდა, ანუ დეზერტირების ბაზრის „კანტრალიორს“, როგორც ყოველთვის თავი ქუდში ჰქონდა — თუ შევარდნაძე გაიმარჯვებდა, ის ხომ ედიკას დანიშნული ელჩი იყო და თუ სააკაშვილი იმარჯვებდა, ის ხომ გოკა გაბაშვილის მამაა და ასეც მოხდა — პირველი, საქართველოს დიპმისიიდან ვინც ედუარდ შევარდნაძეს „დროულად“ უგანა, ანუ იდეზერტირა, ეს დეზერტირების ბაზრის „კანტრალიორი“, კოტე გაბაშვილი გახლდათ.

არ ვიცი, როდის ჩამოვიდა იტალიიდან ეს, ჩვენებურად, ქალაქურად თუ ვიტყვით, ათას „ყორეზე“ გადამხტარი კაცი, მაგრამ კუს ტბაზე მოვარჯიშეთა საზოგადოების ელიტაში, ძველი ადგილის დაკავება რომ უცდია, გამიგონია და იმასაც ამბობენ, რომ ნაცპროპაგანდის ეშხში შესული ბატონი კოტე ძლივს გადაურჩენიათ ცნობილი მხატვრის და ნაღდი ქართველის თემო გოცაძის „ქოთებისგან“...

დედა ნახე, მამა ნახეო და, როგორც ამბობენ დეზერტირების ბაზრის „კანტრალიორის“ მამა, ბატონი ვოვა, თავის დროზე საბჭოთა „სუკის“ ფსიქიატრი ყოფილა, რომელსაც არაერთი ნორმალური უცვნიაო შლეგად. თანაც კოტეს მამას ერთი ღერი ქართული არ სცოდნია, სულ რუსულად ლაპარაკობდაო, თუმცა, მისი მშობლიური ენა არც რუსული იყოო, ანუ ის „ჭორი“, რომ დეზერტირების ბაზრის „კანტრალიორიც“ ერთ-ერთი იმ გვარგადაკეთებულ სომეხთაგანიაო, რომელთა ნაკლებობასაც არ უჩივის ახლანდელი და არც წინა ხელისუფლებები, მთლად უსაფუძვლო არ უნდა იყოს...

აქედან გამომდინარე, სათავეშივე არ ვღებულობ ჩემს მიმართ შესაძლო ქსენოფობიურ ბრალდებებს. მე ვენაცვალე საქართველოში მაცხოვრებელ ყველა ეროვნებას, მაგრამ გვარგადაკეთებულ ღამურებს? ეგეთი არც ქართველი მინდა...

და ბოლოს:

საქართველოს პოლიტიკამ ბევრი ნათესავური ტანდემი იცის. მაგალითად, ძმები კუბლაშვილები, ან ბეჟუაშვილები, სიძე-სიმამრები, ცოლ-ქმარი უსუფაშვილ-ხიდაშელები, მაგრამ მამა-შვილი გაბაშვილები ნეპოტიზმის ამ ელიტაშიც არ იკარგებიან...

დავით მხეიძე

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ნულის ტოლია შანსი, დღის მანძილზე მინიმუმ ერთ მფრინავ ფრაზას არ მოკრა ყური. დღევანდელი ქართველი ბიზმესმენები!

● მამუკა ხერხეულიძე აპირებს დაწეროს სქელტანიანი რომანი „მამა კოტე“, მაგრამ ფიქრობს, „მამა სერგის“ მიბაძოს, თუ „მამა გორიოს“?

● მოვისმინე ინფორმაცია, რომ გაიმართა „EMC-ს შეხვედრა გაეროს შშმ პირთა კონვენციის იმპლემენტაციის გაიდლაინზე“.

სიტყვა „შეხვედრა“ გავიგე.

ეგეთი ფილმებიც იყო — „ბედნიერი შეხვედრა“ და „შეხვედრა წარსულთან“.

დანარჩენ სიტყვებზე, ალბათ, მომავალში გადაიღებენ კინოს.

● არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ ხელში გაზრდილ თამარ ჟვანიას, ქორეპისკოპოს იაკობზე ეპიტიმიის დადებას სთხოვენ.

● ივანიშვილის გადაცემის წამყვანობა ჯანდაბას, მაგრამ რეკლამაზე გავდივართო რომ იტყვის, აი იქ დამთავრდება ყველაფერი.

● ვააიმეე, ეს საკრებულოს წევრი აბესაძე აღარ შეიძლია, როგორ ეფოფრება გიგის და თან 3 დღის მკვდარ კოლოს რომ ჰგავს.

● ისე, უგულავასნაირ პატიმარს ყველა „კამერა“ ინატრებდა!

● ჩემთვის პირადად მელია კი არა, ნაციონალების წარდგენილი ილია ჭავჭავაძე იქნებოდა მიუღებელი. ეგ ზნეობრივ მხარეს რაც შეეხება. პრაგმატულად კი ვერაანირად ვერ წარმომიდგენია საკრებულოებში ოცნებას ჰქონდეს აბსოლუტური უმრავლესობა და მერი ნაციონალი იყოს. თუ ადამიანი გულწრფელად ებრძოდა ნაციონალებს, არ მესმის მაგათი კანდიდატი დღეს „კარმუშკასთან“რატომ უნდა მიუშვას. საბედნიეროდ, ნული შანსია, რომ მელია არჩევნებში გაიმარჯვებს.

● კაცო სარკოზი საფრანგეთის პრეზიდენტი იყო, თუ სოფელ ჭყეპის ფერმის გამგე? ამ უგულავაზე რომ ვენები გადაიჭრეს ამ ევროპელმა ვაიპოლიტიკოსებმა, სარკო რა, ჩასიძებული იყო, სიტყვა რომ არ დაუსველებიათ?

● — ჩართე, ქალო, ტელევიზორი!

— არა ვარ ეგეთიო...

— ჩართე ქალო, ბიძინას გადაცემა იწყებაო.

— იწყება და იწყებოდეი რაო...

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ წერილი საქართველოს

რაც გინახავს, ვეღარ ნახავთ

გაზეთ „რეზონანსში“ მ. წ. 2 ივლისს (ოთხშაბათს) გამოქვეყნდა ინფორმაცია „მეხორბლეები ფქვილის ხარისხის გაკონტროლებას ითხოვენ“. ამას ავრცელებს საინფორმაციო საგენტო (ბიპიაი), რამაც ცოტა გამაოცა.

მინდა, მეხორბლეთა ასოციაციას (თავმჯდომარე — ლევან სილაგავა) განვუმარტო: დასრულდა წინა მთავრობის დრო, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების უარყოფა, ერთ კომპანიას შემოჰქონდა ხორბალი და შეგახსენებთ, საქართველოში ფქვილის ფასმა მაშინ რეკორდულ ნიშნულს მიაღწია, ხოლო პურის დამამზადებლებს ფქვილის არჩევანი არც ფასში და არც ხარისხში არ შეეძლოთ, რადგანაც ყველაფერი პრაქტიკულად მონოპოლისტის ხელში იყო. ხარისხიც არაფრით არ გამოირჩეოდა. უამრავი მეპურე და ხორბლის გადამმუშავებელი ამის გამო გაკოტრდა, წისქვილების უმეტესობა კი საბაზრო პრინციპების უარყოფის გამო გაიყიდა.

ფქვილის ხარისხი უნდა აკონტროლონ მცხობელებმა, უპირველესი ინტერესი და დამოკიდებულებაა როგორც ფქვილის ხარისხი, ასევე მისი ფასი (სხვაგვარად კარგი პურის ცხობა შეუძლებელია). მეხორბლეებმა კი კეთილი ინებონ და ხორბალი აკონტროლონ, სხვაგვარად მონოპოლისტობა ფქვილზე მორჩა, „რაც გინახავთ, ვეღარ ნახავთ“. მეორე ანდაზასაც მოვიშველიებ „პური მეპურემ უნდა აცხოს“.

მალხაზ დოლიძე,

პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე.

◎ ციხე და პატიმარი

„უგულავას უსაფრთხოება უზრუნველყოფილია“

გავრცელებულ ინფორმაციას, რომ გიგი უგულავას №8 დაწესებულებაში გადაყვანას ინციდენტი მოჰყვა, სასჯელაღსრულების სამინისტროში არ ადასტურებენ. მინისტრის მოადგილის ბესო დევდარიანის განცხადებით, პატიმრებს შორის ინფორმაციის გავრცელებას, რომ თბილისის ყოფილი მერი დაწესებულებაშია, პატიმრების გადაძახილი მოჰყვა, რაც არ შეიძლება შეფასდეს, როგორც ინციდენტი. ამასთან, დევდარიანი For.ge-სთან საუბრისას ადასტურებს, რომ უგულავას უსაფრთხოებიდან გამომდინარე მის საკანზე ვიდეოთვალთვალი ხორციელდება და შესაბამის ოქმს მან თავად მოაწერა ხელი.

For.ge ბესო დევდარიანს ესაუბრა.

— ბატონო ბესო, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, რომელიც სახალხო დამცველის წარმომადგენელმა დაგვიდასტურა, ე.წ. საკარანტინო ნაწილიდან უგულავას მე-8 დაწესებულების კორპუსზე გადაყვანას, სადაც სასჯელს პოლიციის ყოფილი თანამშრომლები იხდიან, გარკვეული პროტესტი და ხმაური მოჰყვა პატიმრების მხრიდან, რის გამოც უგულავა ისევ საკარანტინო ნაწილში დააბრუნეს. ადასტურებთ ამ ინციდენტს?

— ამას ინცინდენტს ვერ დავარქმევ. როცა გაიგეს, რომ გიგი უგულავა იქ იყო, უბრალოდ გადაძახილი იყო ერთმანეთში პატიმრებს შორის. ინცინდენტი, როგორც ასეთი, არ მომხდარა.

— მაშინ რატომ მოხდა მისი ისევ საკარანტინო ნაწილში გადაყვანა? ოპერატიულად მიიღეს ეს გადაწყვეტილება...

— ერთადერთი მიზეზი, რატომც მივიყვანეთ ბატონი გიგი გლდანში, არის ის, რომ ეს არის მიმღებ-გამანაწილებელი დაწესებულება. მას აუცილებლად უნდა ჩატარებოდა სამედიცინო დათვალიერება, რაც ჩაუტარდა კიდეც. შემდეგ გარკვეული პერიოდით გაჩერდა, მომზადდა პატიმრის დოკუმენტაცია და ამის შემდეგ, გადავიყვანეთ ე.წ. „მატროსოვზე“ — სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებაში.

— რაც შეეხება საკანს, სადაც უგულავა იმყოფება. დაცვის მხარის განცხადებით, უგულავა იმყოფება ვიდეოთვალთვალის ქვეშ, ასეა?

— დიახ, ასეა. მით უმეტეს, რომ მისივე მოთხოვნა იყო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. უგულავა არის ისეთივე პირობებში, როგორც სხვა პატიმრები. შემიძლია, გითხრათ, რომ ის საკანში მარტოა.

— რატომ გახდა აუცილებელი მისი ვიდეოთვალთვალი?

— მისი უსაფრთხოებიდან გამომდინარე. ბატონი უგულავა ინფორმირებულია, რომ არის ვიდეოთვალთვალის ქვეშ. მან ხელიც მოაწერა შესაბამის ოქმს. როგორც გითხარით, მისივე მოთხოვნა იყო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

— თუმცა, სახალხო დამცველის წარმომადგენელთან საუბრისას უგულავამ აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნება თუ სხვა ზომას გამოიყენებენ მისი უსაფრთხოების დაცვის მიზნით...

— უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება ადამიანური რესურსი და ვიდეოკონტროლი. გიგი უგულავას უსაფრთხოება ორივე კომპონენტით არის უზრუნველყოფილი. ის მარტო იმყოფება და არის უსაფრთხოდ.

— რაც შეეხება სხვა მსჯავრდებულებს, ამბობენ, რომ ყველაზე მხნედ არის ვანო მერაბიშვილი, რაც შეეხება ბაჩო ახალაიას, ბოლო პერიოდში ის ძალიან აგრესული გახდაო. ეს ბრალდებულებიც უგულავას მსგავსად მარტო არიან საკანში და მიმდინარეობს მათზე ვიდეკონტროლი?

— ყველა ცალ-ცალკეა და მათზეც ხორციელდება ვიდეოკონტროლი. ისინი ინფორმირებული არიან ამის შესახებ და ოქმებზეც აქვთ ხელი მოწერილი.

— თუ სარგებლობენ ეს ბრალდებულები კუთვნილი გასეირნებით? ჩვენი ინფორმაციით ბაჩო ახალაია და კუდ-ის მაღალჩინოსანი რომა შამათავა არ სარგებლობენ კუთვნილი გასეირნებით...

— ეს მათი ნებაა. ზოგჯერ სარგებლობენ, ზოგჯერ — არა. კანონით უფლება აქვთ ყოველდღიურად ერთსაათიანი გასეირნებით ისარგებლონ. ამ მომენტში სტატისტიკას ვერ მოგიყვანთ, რომელი მათგანი რა სიხშირით სარგებლობს ამ უფლებით, თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს მათი ნებაა.

— საინტერესოა, ერთად სეირნობენ თანამდებობის პირები, თუ ყველას თავისი გრაფიკი აქვს?

— ყველას თავისი გრაფიკი აქვს.

— რაც შეეხება რომა შამათავას, სასჯელაღსრულების სამინისტრო ადასტურებს, რომ შამათავას ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა?

— არა, არანაირი მცდელობა არ ჰქონია.

— ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, პაატა ქარდავას შვილმა, რომელიც თქვენს უწყებაში მუშაობდა, სცადა შურისძიება. მოგეხსენებათ, რომ შამათავა ბრალდებულია პაატა ქარადავას მკვლელობის საქმეში...

— ამ ინფორმაციას არ ვადასტურებ, მცდარი ინფორმაციაა. ვადასტურებ, რომ ჩვენთან მუშაობდა ქარდავას ვაჟი, მას გაუვიდა ხელშეკრულების ვადა, თუმცა, მას არანაირი შეხების წერტილი არ ჰქონია იმ დაწესებულებასთან, სადაც შამათავაა განთავსებული. გასაგებია, რომ ჟურნალისტების ინტერესის სფერო არის ყოფილი თანამდებობის პირები, თუმცა, ვანო მერაბიშვილისა და გიგი უგულავას გარდა, სისტემაში დაახლოებით 9 ათასი ადამიანი იმყოფება. აღნიშნული თანამდებობის პირებიც ისეთივე ჩვეულებრივი პატიმრები არიან, როგორიც სხვები და იმყოფებიან ანალოგიურ პირობებში, როგორშიც დანარჩენი პატიმრები.

ნანა სანიკიძე

◎ ადამიანებს ერთმანეთთან ურთიერთობა სურთ

„ერგნეთის ბაზრობა“ იხსნება?

მთავრობა მუშაობს პროექტზე, რომლის მიხედვითაც, ოკუპირებული ტერიტორიების მომიჯნავე რეგიონებში - სამეგრელოსა და შიდა ქართლში -თავისუფალი ეკონომიკური ზონები უნდა შეიქმნას. საუბარია ერგნეთის ბაზრობის მსგავს ცენტრებზე, თუმცა, გეგმის კონკრეტული დეტალები ამ ეტაპზე არ სახელდება. დაინტერესდებიან თუ არა ოსები და აფხაზები ასეთი ინიციატივით და რამდენად ხელს აძლევს რუსეთს ნდობის აღდგენა ხალხებს შორის?

საოკუპაციო ზოლის სიახლოვეს მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრების ამოქმედებას ითვალისწინებს ამ რეგიონების სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, რომელსაც მთავრობა, სავარაუდოდ, რამდენიმე კვირაში დაამტკიცებს. როგორც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველმა მოადგილემ ქეთევან ციხელაშვილმა უთხრა რადიო თავისუფლებას, ეს ინიციატივა წარმოიშვა გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის მუშაობის პროცესში და მიზნად ისახავს დამატებითი ეკონომიკური შესაძლებლობის გაჩენას ომის შედეგად დაზარალებული ადამიანებისთვის. დეტალების დამუშავება საპარტნიორო ფონდს დაევალა.

ინიციატივა, რომლის შესახებაც ჯერჯერობით ბევრი არაფერია ცნობილი, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, უკვე მსჯელობისა და კამათის საგნად იქცა. ივლება პარალელები წინა ხელისუფლების მიერ დახურულ ერგნეთის ბაზრობასთან, რომელსაც ასევე არაერთგვაროვან შეფასებებს აძლევენ. თუკი „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებისთვის ის კვლავაც მხოლოდ შავ ხვრელსა და უკანონო ვაჭრობასთან ასოცირდება, „ქართულმა ოცნებამ“ ერგნეთის ბაზრობის ხელახლა გახსნის საკითხი წინასაარჩევნო დაპირებადაც კი აქცია.

ვიდრე სახელმწიფო სამსახურში მივიდოდა, ქეთი ციხელაშვილმა, როგორც მკვლევარმა, ეს თემა საფუძვლიანად შეისწავლა. ჩრდილოვან ეკონომიკასთან დაკავშირებული მანკიერებების მიუხედავად, ის ფიქრობს, რომ ერგნეთის ბაზრობა თავის თავში უდიდეს საშვიდობო პოტენციალს მოიცავდა, რაც სწორად უნდა ყოფილიყო გამოყენებული: **„მაშინდელი დაინტერესებული მხარეების უყურადღებობის პირობებში, ხალხმა თვითონ მოახერხა და კონფლიქტი განმუხტა საყოფაცხოვრებო დონეზე და ეს ცალსახად, ხელაღებით, დაუდევრად იქნა მოსპობილი. ვფიქრობ, ეს იყო ძალიან არასწორი გადაწყვეტილება. ჩვენ გვესმის, რომ პოლიტიზების ხარისხი ახლა კიდევ უფრო მაღალია რუსული ოკუპაციის პირობებში და ამიტომ ბევრი დამატებითი გამოწვევა ჩნდება. მაგრამ გრძელვადიანად, ცხადია, ზოგადად ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და კონკრეტული შესაძლებლობების გაჩენას ადამიანებისთვის, რომლებსაც ეს ესაჭიროებათ, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს სახელმწიფო ხედვაში“.**

ოკუპირებული ტერიტორიების სიახლოვეს ერგნეთის ბაზრობის ტიპის ცენტრთა ამოქმედებას მხოლოდ მიესალმება ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში თემურ გიორხელიძე. როგორც მან რადიო „თავისუფლებას“ უთხრა, სამშვიდობო რესურსი დიდია და, პოლიტიკური ნების შემთხვევაში, ამ სივრცის გაკონტროლება არცთუ ისე რთული საქმე იქნება: **ერგნეთის ბაზრობის სარგებელი ჯერ ისევ ახსოვთ ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს და მისი განახლების იდეა ცხინვალის ლიდერების მიერაც არაერთხელ იქნა მოხსენიებული დადებით კონტექსტში. ექსპერტები ფიქრობენ, რომ ამ მიმართულებით მეტი შანსი არსებობს, თუმცა, ორმაგად საკითხავია, იმუშავებს თუ არა ეს ინიციატივა აფხაზეთის მიმართულებით.**

სტუდია „რეს“ დირექტორი, მამუკა ყუფარაძე, რომელიც აქტიურად არის ჩართული სახალხო დიპლომატიაში და შეხება აქვს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებთან, ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, რომ ვაჭრობა ისედაც თავისუფალია, ხოლო საგანგებო სავაჭრო ცენტრის ზუგდიდში გახსნის იდეით აფხაზები მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში დაინტერესდებიან: **„ამას წინათ ვიყავი სამეგრელოში, ვიყავი ენგურზეც და გამოვკითხე მოსახლეობა, რომელიც მოძრაობს ენგურის ხიდზე, და მათგანაც გავიგე, რომ დაახლოებით წელიწად-ნახევარია, რაც ძალიან ლიბერალური დამოკიდებულება აქვთ მესაზღვრეებს ტვირთის გადატანა-გადმოტანაზე. რაც შეეხება სავაჭრო ცენტრის მოწყობას:,ერგნეთი მუშაობდა მაშინ, როდესაც რუსეთიდან შემოდიოდა ტვირთი და ერგნეთის საშუალებით გადიოდა რუსეთში. თუ რუსეთში არ გავიდა, მაშინ ინტერესი არ იქნება ამ სავაჭრო ცენტრის გახსნის მიმართ“.**

მამუკა ყუფარაძის აზრით, თუკი ნება იქნება, ასეთი სავაჭრო ცენტრების ლეგალიზების გზები აუცილებლად გამოინახება, მაგრამ ამ ეტაპზე, ფიქრობს, რუსეთს ხელს არ უნდა აძლევდეს აფხაზებსა და ქართველებს შორის ვაჭრობის ხელშეწყობა, რადგანაც ეს თავისთავად ადამიანური ურთიერთობებისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობასაც ნიშნავს.

ლელა კუნჭულია,
რადიო „თავისუფლება“



გზად მომავლისკენ!

არჩევნები ჩატარდა, როგორია ხვალის იმედი?

ერთ-ერთი თეორიის თანახმად, კაცობრიობის მთელ ისტორიას და თითოეული ადამიანის ცხოვრებას განსაზღვრავს ომები და სიცოცხლის ისტორია შეიძლება გაიყოს ორ პერიოდად: ომამდელი და ომის შემდგომი. როგორც ჩანს, ჩვენ ამ ორი პერიოდიდან გადავიტანეთ პირველი (დაწყებული 1945 წლის მაისიდან) და შევედით მოულოდნელობებით აღსავსე და, მით უმეტეს, უფრო საშიშ ომამდელ დროებაში. თუმცა, თავად სტალინი ამბობდა, რომ ომში გამარჯვების შედეგად დამყარებული მშვიდობა (ან მსოფლიო წესრიგი) იქნება „ჩვენი შვილების და შვილიშვილების მშვიდობა 40-50 წლით“. ეს ვადა ამოიწურა სსრკ დაშლასთან და XX საუკუნის დასასრულთან ერთად. იმედი, რომ ახალი საუკუნე უსისხლო და უფრო ჰუმანური იქნება, ჯერჯერობით ცუდად სრულდება, ჩვენ კი ნორმალური ცხოვრება გვინდა.... გაჩნდა „ცივ ომში“ დაბრუნების აჩრდილი, ხოლო ამ გზაზე ახლოა რეალურ „ცხელ“ ომში გადავარდნის საშიშროება, და შეიძლება ისეც მოხდეს, როგორც ჰიმნში მღეროდნენ — „უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა“. აი, ასეთ კონტექსტში უსდება ფიქრი მომავალზე თითოეულ ადამიანს და მთელ ქვეყნებს და არა მხოლოდ თავის ადგილზე ცხოვრებასა თუ მსოფლიოში. არ დაგვავიწყდეს, რომ „ხვალ უკვე დღესაა“.

2014 წლის გაზაფხული და ზაფხულის დასაწყისი მნიშვნელოვანი პერიოდია ევროპისა და საქართველოს დემოკრატიული განვითარების ისტორიაში. სულ ახლახან 2014 წლის 22-25 მაისს ჩატარდა საერთო ევროპული არჩევნები ევროპარლამენტში. 15 ივნისს კი საქართველოში ჩატარდა ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოების — საკრებულოების არჩევნების პირველი ტური, ხოლო 12 ივლისს ჩატარდება მეორე. ევროპულ არჩევანზე ორიენტირებული და ევროინტეგრაციის გზაზე დამდგარი ახალგაზრდა ქართული დემოკრატიისათვის შეიძლება სასარგებლოც იყოს ევროპარლამენტში ევროკავშირის წევრი ქვეყნების დეპუტატების 2014 წლის მაისის არჩევნების გაკვეთილები. ეს არჩევნები კი იმის აშკარა მტკიცებულება გახდა, რომ დედამიწის ერთ-ერთი მოწინავე რეგიონი (500 მილიონზე მეტი მოსახლეობა, ყველაზე დიდი მსოფლიო ეკონომიკა) საგონებელშია ჩავარდნილი და , შეიძლება ითქვას, შიშით უყურებს თავის მომავალს. ეს მდგომარეობა რთული და მრავალსახაა, რადგანაც შიშები მრავალგვარია და, სამწუხაროდ, გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე იმედები. ამ შიშთაგან მრავალი დაკავშირებულია იმ ცვლილებებთან, რაც ბოლო ოცი-ოცდაათი წლის მანძილზე მოხდა მსოფლიოში, მსოფლიოს ახალი სიმძიმის ცენტრების წარმოშობასთან (განვითარების ისეთი ახალი ლიდერებისა, როგორებიც არიან ჩინეთი, ბრაზილია), უკანასკნელი ათწლეულის მსოფლიო ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისებთან და ევროპაში მათ შემდეგ წარმოების ვარდნასა და უმუშევრობის ზრდასთან, ფასეულობების და ტრადიციული მორალის კრიზისთან, დაპირისპირების გამწვავებასთან ორ მოწინავე სამხედრო ზესახელმწიფოს შორის “რაც საქართველოსა და უკრაინაში მომხდარ სამხედრო კონფლიქტებში აისახა“.

ევროპის ეს არჩევნები, რომლებიც მერვედ ჩატარდა 1979 წლიდან, ისეთი მოვლენებით გამოირჩა, რომლებსაც მოიხსენიებენ სიტყვით „პირველად“. ევროკავშირის ისტორიაში პირველად არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 43 პროცენტზე ნაკლებმა (1979 წელს ხმის მიმცემთა რაოდენობა 60 პროცენტზე მეტი იყო). პირველად ევროკავშირის მთელ რიგ ქვეყნებში (ისეთებში, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ავსტრია, დანია, ფინეთი, შვედეთი) პირველ ადგილზე გაიჭრნენ ულტრამემარჯვენე მიმართულების პარტიები (ისინი, რომლებსაც ჩვენში ფაშისტურს ან ნაცისტურს უწოდებენ. ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა ლაპარაკი მათზე, როგორც ნაციონალისტურ, ქსენოფობიურ, ანტისემიტურსა და მთლიანობაში ევროსკეპტიკურად განწყობილ პარტიებზე, რაც, სხვათა შორის, არ ცვლის მათ არსს). ამ პარტიებმა ახალ ევროპარლამენტში მიიღეს 121 ადგილი, ანუ 16 პროცენტი დეპუტატთა საერთო რაოდენობიდან. რაზე მეტყველებენ ეს ფაქტები? თუ ფილოსოფიურად და გლობალურად ვიმსჯელებთ, წარმოჩენილია ევროპული საზოგადოებრიობის ინტერესის შესუსტება არჩევნებისადმი (საქართველოში არჩევნების პირველ ტურში აქტივობა ხომ 43 პროცენტზე ოდნავ მეტი იყო). მედია კი მრავალ სხვადასხვა მიზეზს ასახელებდა: პირველი იყო ხალხში საპროტესტო მუხტის არსებობისა და არჩევნებისადმი უნდობლობის დასახელება, როგორც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტისა, რომელიც განსაზღვრავს მომავალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას და ადამიანებს, რომლებიც განასახიერებენ და განახორციელებენ ამ არჩევანს; ბოლოს კი ისეთი ეგზოტიკური მიზეზიც დასახელდა, როგორიცაა საქართველოს არჩევნების თანხვედრა ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატთან. ზოგიერთი იმასაც ამბობს, რომ ხალხი უბრალოდ დაღალა არჩევნებმა. ძალზედ ადრე ხომ არაა? იქნებ დაგვავიწყდა, რომ ანტიკური საბერძნეთი მაშინ დაიღუპა, როცა ბერძნებს შეიარაღებული ჯარისკაცების დახმარებით მიერეკებოდნენ არჩევნებზე? რაც შეეხება ევროპულ არჩევნებზე ულტრამემარჯვენე პარტიებისადმი მიცემულ უპირატესობებს, აქ საქმე, როგორც ჩანს, არა მარტო ამომრჩევლებშია, რომლებმაც დაკარგეს იმედი და განუდგნენ ტრადიციულ მემარცხენე და მემარჯვენე პარტიებს (ისეთებს, როგორიცაა სოციალ-დემოკრატიული და სახალხო პარტიები), არამედ თანამედროვე პრობლემების მოგვარების უნარის არმქონე პარტიებშიც (უმუშევრობა, მოქალაქეების უსაფრთხოება, იმიგრაცია, ცვლილებები სულიერ ფასეულობებსა და საზოგადოებრივ მორალში, ცხოვრების დონის დაცემა და სახელმწიფოს მიერ სოციალური უზრუნველყოფის ადრინდელი დონის შენარჩუნების უუნარობა). და ბოლოს, თავი იჩინა და ამოხეთქა ტრადიციული პარტიების უსასრულო აფიორებსა და კორუფციულ სკანდალებში გასვრილი ხელმძღვანელობისადმი გულისწყრომამ.

ევროპარლამენტის ახალი შემადგენლობა ამა წლის ნოემბერში შეუდგება მუშაობას. ევროპელისთვის, განსაკუთრებით კი უბრალო მოქალაქისთვის, არც ისე მნიშვნელოვანია კონკრეტულად ვინ იდგება ევროკომისიის სათავეში ან ვინ გახდება ევროდეპუტატი (მით უმეტეს, რომ ზოგადად ევროპარლამენტარები ეროვნული პარლამენტების წევრები იყვნენ ან არიან). ხოლო, როგორი იქნება ძალების გადანაწილება ახალ ევროპარლამენტში და რომელი პარტიები განსაზღვრავენ ევროპის მომავალს, რა დღის წესრიგს შემოგვთავაზებენ ისინი, რა კანონების მიღებას დაიწყებენ — ეს ყველაფერი მართლაც უნდა აღელვებდეს ყველას და თითოეულ ევროპელს (ყოველ შემთხვევაში, მათ, ვინც არჩევნებში მონაწილეობა მიიღო).

ამის შედეგად, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ერთ მესამედში წინა პლანზე წამოიწიეს ულტრამემარჯვენეებმა. მართალია, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ ქვეყანა (ისეთებში, როგორიცაა იტალია, ბულგარეთი, ჰოლანდია, რუმინეთი) ულტრამემარჯვენეების პოზიციები 2009 წლის არჩევნებთან შედარებით შესუსტდა.

ევროპარლამენტში სულ 766 სადეპუტატო ადგილია. ადგილების საერთო რაოდენობა დადგენილია 2009 წლის ლისაბონის ხელშეკრულებით. ამ ხელშეკრულების მიხედვით ევროკავშირის ყოველი ქვეყნისთვის ადგილების გარკვეული რაოდენობაა გამოყოფილი, მოცემული ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე. ამიტომ ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა მალტა, ლუქსემბურგი, კვიპროსი, ესტონეთი 6 ადგილი აქვს თითოეულს, იმ დროს, როცა გერმანიას 96 ადგილი აქვს. 2014 წლის ევროპარლამენტის მაგალითზე საერთო ძალთა განაწილება ასეთია: ყველაზე დიდი რაოდენობა მემარჯვენე, სახალხო პარტიებს აქვთ (273 ადგილი). მათ მოსდევს სოციალ-დემოკრატიული პარტიები (95 ადგილი). ულტრამემარჯვენეებს, ევროსკეპტიკოსებს და პოპულისტებს ახლა 121 სადეპუტატო სავარძელი აქვთ. ცენტრისტულმა პარტიებმა, გაერთიანებული დემოკრატების და ლიბერალების ალიანსში მიიღეს 83 ადგილი. 58 ადგილი აქვთ ევროპელ ეკოლოგისტებს („მწვანეებს“) და ბოლოს, 35 ადგილი გაერთიანებულ მემარცხენე პარტიებს (კომუნისტებს, ულტრამემარცხენეებს, ანტიკაპიტალისტებს).

2014 წლის ევროპული არჩევნების კიდევ ორი სიახლეა: პირველად ტარდებოდა შიდაპარტიული ხმის მიცემა კანდიდატებისთვის ევროკომისიის პრეზიდენტის თანამდებობაზე — ევროკავშირის მთავარ აღმასრულებელ ორგანოზე. ახლა ეს ადგილი უკავია ჟოზე მანუელ ბაროზოს, პორტუგალიის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, რომელიც ახლახან სტუმრობდა ჩვენს ქვეყანას. პირველად ტარდებოდა სატელევიზიო დებატები კანდიდატებს შორის, რომლებშიც მონაწილეობდნენ შიდაპარტიული არჩევნების ლიდერები: სახალხო პარტიებიდან — ჟან-კლოდ იუნკერი (ლუქსემბურგის ყოფილი პრემიერ-მინისტრი), სოციალ-დემოკრატიული პარტიებიდან — მარტინ შულცი (გერმანია), „მწვანეებისგან“ — 28 წლის ფრანცისკა კელერი (გერმანია), დემოკრატების და ლიბერალების ალიანსიდან — გი ვერხოვსტედი (ბელგიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი), მემარცხენეთაგან — ალექსის ციპრასი (ბერძენი კომუნისტების ლიდერი).

10 ივნისს ევროსაბჭომ (ევროკავშირის წევრი 28 ქვეყნის მეთაურების დონეზე) ჩაატარა კანდიდატურების პირველი განხილვა, ვინაიდან ევროკომისიის პრეზიდენტის საბოლოო არჩევა და დანიშვნა ქვეყნების ხელმძღვანელების ხელშია. რადგანაც ევროპარლამენტში სადეპუტატო ადგილების უმრავლესობა კვლავ ევროპულ სახალხო პარტიებს ეკუთვნის, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ევროკომისიის პრეზიდენტი ჟან-კლოდ იუნკერი გახდება 16 ივლისის ევროპარლამენტის დეპუტატების მიერ არჩევნების შემდეგ.

მეორე სიახლე კი უფრო სკანდალური ხასიათისაა. 2014 წლის ევროპული არჩევნები შეიძლება გაუქმებულად გამოაცხადონ. და ეს იმის გამო, რომ ორმაგი მოქალაქეობის მქონე ევროპის მოქალაქეებს (ასეთები კი დაახლოებით 6 მილიონია) მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შეეძლოთ, ორჯერ მიეცათ ხმა (ევროკავშირის ორი ქვეყნიდან თითოეულში, რომლის მოქალაქეობასაც წარმოადგენენ). ვიმედოვნებთ, მოვლენები ასეთი შემობრუნების გარეშე ჩაივლის.

ევროპარლამენტის ახალი შემადგენლობა ამა წლის ნოემბერში შეუდგება მუშაობას. ევროპელისთვის, განსაკუთრებით კი უბრალო მოქალაქისთვის, არც ისე მნიშვნელოვანია კონკრეტულად ვინ იდგება ევროკომისიის სათავეში ან ვინ გახდება ევროდეპუტატი (მით უმეტეს, რომ ზოგადად ევროპარლამენტარები ეროვნული პარლამენტების წევრები იყვნენ ან არიან). ხოლო, როგორი იქნება ძალების გადანაწილება ახალ ევროპარლამენტში და რომელი პარტიები განსაზღვრავენ ევროპის მომავალს, რა დღის წესრიგს შემოგვთავაზებენ ისინი, რა კანონების მიღებას დაიწყებენ — ეს ყველაფერი მართლაც უნდა აღელვებდეს ყველას და თითოეულ ევროპელს (ყოველ შემთხვევაში, მათ, ვინც არჩევნებში მონაწილეობა მიიღო).

არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმის გაგება, რამდენად სამართლიანია წინასაარჩევნო პერიოდში გაჟღერებული ევროკავშირის კრიტიკა „ყველა ჭირსა და უბედურებაში დამნაშავე ბრიუსელიაო“, აგრეთვე მოწოდებები — გადასახედიაო ევროკავშირის ფარგლებში მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების შესახებ შენგენის შეთანხმება, ან უარი ვთქვათ ევრზე, როგორც მეტად ძვირ ვალუტაზე და დავუბრუნდეთ ეროვნულ ვალუტებსო, ანდა, ბოლოს და ბოლოს, უარი ვთქვათ ევროკავშირის გაფართოებაზე და ახალი ქვეყნების ევროკავშირის წევრებად მიღებაზეო. ამასთან იმედოვნებენ, რომ ეს ყველაფერი აისახება ახალ დღის წესრიგში. როგორი პასუხები გაეცემა და რა არჩევანი გაკეთდება, ამის გაგება უახლოეს წლებში მოგვიწევს.

ევროკავშირის წევრობის სხვა რა ალტერნატივები არსებობს? ანალიზი ყოველთვის გონებით და გულით კეთდება. გონებით გასაგებია, რომ მომავალი განვითარებაშია. ვინ განვითარდება, ეს ევროკავშირმა უკვე დაამტკიცა. საბაჟო კავშირს და ევრაზიის გაერთიანებას კი ეს ჯერ დასამტკიცებელი აქვს. როგორ უნდა განვვითარდეთ — ეს სხვა საკითხია. მშვიდობის ვითარებაში ძირითადი მიმართულებები იქნება ტურიზმი, ეკოლოგია, სუფთა წყალი, ბიოპროდუქტები. თუ კი ომი გვიწერია, მაშინ სხვა გველის (სოციალური პროგრამების შემდგომი შეკვეცა, ხარჯების გაზრდა შეიარაღებასა და ჯარზე). **გულს ვერ უბრძანებ და პუტინის რუსეთის წინაშე შიშმა შეიძლება გადაწონოს მასთან კეთილმეზობლურ კავშირში ცხოვრების გონივრული მისწრაფება. პუტინი მარადიული არაა, მაგრამ რუსეთის ძლევამოსილებისკენ სწრაფვა მეზობელი ხალხების დამორჩილების ხარჯზე, როგორც ჩანს, მუდმივი და გაუთავებელია.**

ჩვენ ვხედავთ, რომ ქვეყანა, რომელიც დემოკრატიულ არჩევანს აკეთებს, იმავდროულად თავს და თავის ხალხს უდიდეს

საფრთხეში აგდებს (2008 წლის საქართველო-რუსეთის ომი, 2014 წლის „ყირიმის მიერთება“). საბედნიეროდ, რუსეთის და საქართველოს ეკონომიკები არც ისე მჭიდრო კავშირშია, როგორც რუსეთის და უკრაინისა. მაგრამ განა ეკონომიკაშია საქმე? და განა საკმარისია ეს ფაქტი შესაძლო აგრესიის შესაკავებლად? იქნებ საქმე ის არის, რომ ევროკავშირი არა მარტო ეკონომიკური, არამედ სამხედრო პოლიტიკური კავშირიცაა? რუსეთი მუდმივად გვაფრთხილებს, რომ ის თავის საზღვრებთან ნატოს მოახლოების წინააღმდეგია (თუმცა, ნატო უკვე ოცი წელია, პირდაპირ ესაზღვრება რუსეთს ბალტიის ქვეყნებით და რუსეთისათვის საშინელი და სახიფათო არაფერი მომხდარა).

ევროკავშირში სრული წევრობა შეუძლებელია ნატოს წევრობის გარეშე. რა გამოდის, ევროკავშირი ნატოში წევრობის სატყუარაა? ეს მითია თუ რეალობა? ნატოსა და რუსეთის დაპირისპირება მთელი კაცობრიობისათვის საფრთხეს და იმ თამაშს წარმოადგენს, რომელშიც ორი მტაცებელი და ჟანდარმი ყოველთვის მოილაპარაკებენ, როგორ გაიყონ დანარჩენი მსოფლიო გავლენის სფეროებად (აშშ-ის ფარული თანხმობა აფხაზეთის და სამაჩაბლოს ოკუპაციაზე ავღანეთში რუსეთის გავლით ამერიკული იარაღის მიწოდების სანაცვლოდ - რეალობაა თუ დეზინფორმაცია, უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის (ФСБ) მიერ გავრცელებული?).

და ისევ ისმის კითხვა **„არსებობს კი ალტერნატივა?“** სამწუხაროდ, პასუხი უარყოფითია. რადგან საეჭვოა, რომ რუსეთმა პუტინის ან სხვა ლიდერის დროსაც შეცვალოს თავისი მიდგომა. ეს კი ნიშნავს, რომ რაც უფრო მივუახლოვდებით ევროკავშირის სრულ წევრობას, დაძაბულობა მხოლოდ გაიზრდება და აგრესიის საფრთხე მხოლოდ დროის საკითხია.

მაშ რა გველის — ახალი ლოკალური ომები ან სრულიად ევროპის კატასტროფა, რომლის სათავეში ჩადგებიან (უკვე მერამდენეჯერ!) ულტრამემარჯვენეები, ფაშისტური ძალები აღმოსავლეთსა და დასავლეთში? დაძაბულობის ზრდა, ახალი „ცივი ომი“, რომლის დაწყებასაც შემდეგ ყველა ერთმანეთს გადააბრალებს — ეს ხომ პირდაპირი გზაა ნეოფაშისტების ხელისუფლებაში მოსვლისთვის (არა მარტო საკანონმდებლო, არამედ აღმასრულებელშიც) როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ ევროპაში. სწორედ მაშინ იჩენს თავს სტალინის წინასწარმეტყველება „შვილების და შვილიშვილებისათვის მოპოვებული 40-50-წლიანი მშვიდობის“ შესახებ...

იქნებ ალტერნატივა მაინც არსებობს და იმაში მდგომარეობს, რომ შორს დავიჭიროთ თავი სხვადასხვა გაერთიანებებსა და ბლოკებისგან ისე, როგორც ამას საფრანგეთი აკეთებდა დე გოლის დროს, როცა გამოვიდა ნატოდან და არც სსრკ-ს დაუახლოვდა. ამას „თანაბარდაშორების“ პოლიტიკა ერქვა. შესაძლოა კი, ასეთი პოლიტიკა თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში და, რაც მთავარია, აქვს კი პატარა ქვეყანას ასეთი პოლიტიკური ფუფუნების უფლება?

და მაინც, გვინდა გვჯეროდეს, რომ მომავლის სურათი არ იქნება ასეთი შავბნელი; რომ კეთილგონიერება გაიმარჯვებს...

27 ივნისს შედგა დიდი ხნის ნანატრი მოვლენა — საქართველოს, აგრეთვე უკრაინის და მოლდავეთის მიერ ევროკავშირში ასოცირებული წევრობის შესახებ აქტზე ხელმოწერა. ზოგი ფიქრობს, რომ ახლა გადმოიფრქვევა „ზეციური მანანა“. მაგრამ ქართული პროდუქციის ექსპორტის 12 პროცენტით, ხოლო მშპ-ს 3,4 პროცენტით გაზრდა, რასაც ევროპელი ემისარები გვიწინასწარმეტყველებენ, თავისით, ავტომატურად ვერ მოხდება. ამისათვის თავდაუზოგავად უნდა ვიშრომოთ თავად ქართველებმა. ამასთან, ევროპული კრედიტების დაფარვაც ქართველების ახლანდელ და შემდეგ თაობებს მოუწევს. ევროპული არჩევანის ეიფორიაში ნუ გავიწყდება ის ჭეშმარიტება, რომ „უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია“!

ქართველი საზოგადოება ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი, მრავალსაუკუნოვანი კულტურით, ცოდნისა და შრომისადმი ლტოლვით, თანაც, არა მარტო ინტელექტუალური, არამედ პრაქტიკული შრომისადმი, რაც მიწასთანაა დაკავშირებული, მიწასთან, რომელიც სამშობლოს უმთავრესი განსახიერებაა. რა უნდა გაკეთდეს, რომ ეს იდეალები კვლავ გახდეს ქართველი ერის მიზანი და ცხოვრების არსი?

საქართველოს ადგილი მსოფლიოში... სადაა და როგორია ის? ქვეყნისათვის მსოფლიოში ადგილის არჩევა ისეთივე რთულია, როგორც ადამიანისთვის საკუთარი ადგილის პოვნა ცხოვრებაში. ცხოვრებისეული არჩევანის გაკეთება კი უფრო და უფრო ადრეულ ასაკში გვიწევს (21-ე საუკუნე ხომ მაღალი სიჩქარეების და მათთან დაკავშირებული მყისიერი ცვლილებების საუკუნეა!). ახალგაზრდა ადამიანისთვის, რომელიც ჯერ არ დაბრძენებულა საქმიანი ცხოვრებისეული გამოცდილებით, ადვილი არაა ორიენტაცია მრავალფეროვანი ინფორმაციის ოკეანეში და იძულებულია უფროსი თაობების გამოცდილებით იხელმძღვანელოს. ზოგიერთები იტყვიან, რომ ეს ბანალური ჭეშმარიტებებია, მაგრამ დრო მათთან დაბრუნების აუცილებლობას გვიკარნახებს. ვერ დაიმალება, რომ თანამედროვე ახალგაზრდობის მნიშვნელოვან ნაწილს მხოლოდ გართობა აინტერესებს, ხოლო უფროსი თაობები მხოლოდ ფულის შოვნით და ამწუთიერი გამდიდრებით არიან დაკავებულნი. როგორი მომავალი შეიძლება ქონდეს ასეთ საზოგადოებას? ქართველი საზოგადოება ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი, მრავალსაუკუნოვანი კულტურით, ცოდნისა და შრომისადმი ლტოლვით, თანაც, არა მარტო ინტელექტუალური, არამედ პრაქტიკული შრომისადმი, რაც მიწასთანაა დაკავშირებული, მიწასთან, რომელიც სამშობლოს უმთავრესი განსახიერებაა. რა უნდა გაკეთდეს, რომ ეს იდეალები კვლავ გახდეს ქართველი ერის მიზანი და ცხოვრების არსი? **ამ კითხვას პასუხი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ გასცა, როცა მოუწოდა ხალხს გახდეს „განათლებული“ ერი.** რატომ უნდა გავაკეთოთ ეს არჩევანი? პირველ რიგში იმიტომ, რომ მსოფლიო რუკაზე ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ (თანაც 20 პროცენტი „ოკუპირებული“ ტერიტორიებით), შეზღუდული მატერიალური რესურსებით, როგორც სასარგებლო წიაღისეულის მხრივ (ჩვენ არ გაგვაჩნია ნავთობის და გაზის დიდი მარაგი, როგორც ჩვენს მეზობლებს ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში), ასევე მოსახლეობის მხრივაც. ეს რეალობაა **და ჩვენც რეალისტები უნდა ვიყოთ. იმავე დროს ჩვენი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის თვალსაზრისით ჩვენ შეიძლება ინტერესს წარმოვადგენდეთ მსოფლიო საზოგადოებისათვის როგორც მნიშვნელოვანი რეგიონული სახმელეთო დერეფანი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ევროპასა და აზიას შორის. იმისათვის, რათა სრულფასოვნად შევასრულოთ ეს როლი, საჭიროა უაღრესად განათლებული და ნიჭიერი ადამიანები, უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები განათლებისა და მეცნიერების ახალ, ინოვაციურ დარგებში. საჭიროა მეომრებიც და ბრძენებიც, როგორებიც იყვნენ, მაგალითად ჩვენი მეფეები, რომლებიც მზად იყვნენ, მიეღოთ უცხო სარწმუნოება თავისი სახელმწიფოს შესანარჩუნებლად. აი, რატომ გვჯერა, რომ განათლება და მეცნიერება ქართული საზოგადოების „ეროვნულ იდეად“ უნდა იქცეს, რომ განათლების აღორძინებაში, მის როლსა და სტატუსშია ქართველი ერის შემდგომი ჩამოყალიბების საიდუმლო. განათლება თითოეული ქართველის და ჩვენი ხალხის უკეთესი ცხოვრების საწინდარია.**

გოჩა ჩოგოვაძე,

იუნესკოს გენერალური დირექტორის მრჩეველი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ევროპის მეცნიერების და ხელოვნების აკადემიის წევრი.

დიმიტრი ბერიძე,

განვითარების და სოლიდარობის საერთაშორისო აკადემიის (საფრანგეთი) დამფუძნებელი წევრი.

პარიზი, ივლისი , 2014 წელი

◎ ქარცვა-გლეჯა გორში

როგორ წაართვეს ირაკლი ოქრუაშვილმა და მისმა მეგობრის კანდიდატმა ბიზნესმენებს წისქვილ-კომბინატი

2003 წელს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ხელისუფლება ბიზნესმენების ტერორზე რომ გადავიდა, კარგად მოგეხსენებათ. მაშინდელმა ხელისუფლებამ საქართველო პრაქტიკულად დაინაწილა და რეგიონების მიხედვით დაიწყო ბიზნესწილების გადაფორმება. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ ტერორს შეეწირა, გორის წისქვილკომბინატის მფლობელები იყვნენ. მათ ძალიან მარტივად აუხსნეს, რომ წილი უნდა დაეთმოთ და უნდა დაეთმოთ გორის გამგეობის სასარგებლოდ. ერთი შეხედვით, ეს უპრეცედენტო შემთხვევა საინტერესოდ გაგრძელდა. საქმე ისაა, რომ როგორც წესი, წართმეულ წილებს კერძო პირებზე აფორმებდნენ, ახლა კი თითქოს გამგეობის ბალანსზე დარიცხვა მართლაც საინტერესო იყო.

„2004 წლის იანვარში ჩვენთან მოვიდა ადამიანი, რომელიც უშიშროების თანამშრომლად გაგვეცნო და გვითხრა, რომ წისქვილკომბინატის დოკუმენტაციის შემოწმება უნდა დაწყებულიყო. ჩვენგან ორი მანქანა საბუთები წაიღეს და როცა ვიკითხეთ, ვინ არის გარანტი იმისა, რომ ამ საბუთიდან რომელიმე არ დაიკარგება და მერე პასუხს არ მოგვთხოვთო, უბრალოდ გაეღიმათ. ასეთი „ღიმილით“ გაგრძელდა ჩვენი ტერორი მთელი ოთხი თვის განმავლობაში, რის შემდეგაც წილი უბრალოდ დაგვათმობინეს. ერთ დღეს წისქვილკომბინატი გორის გამგეობის ბალანსზე უსასყიდლოდ გადავაფორმეთ“, — ყვება წისქვილკომბინატის ერთ-ერთი მეწილე და მფლობელი გიორგი ორთანეზაშვილი.

რა ძნელი მისახვედრია, რომ გამგეობა კომბინატს ვერ და არ ამუშავებდა. ამის შესახებ თავადაც კარგად იცოდნენ და ამიტომ, რამდენიმე თვეში იგივე პირებს წისქვილკომბინატის გადაფორმება უკვე ფირმა „ლემისე კომპანისთვის“ სთხოვეს და ასევე უსასყიდლოდ გადაუფორმეს. როგორ მოგვიანებით გაირკვა, წილის პირველი გადაფორმება ფიქტიური იყო, ანუ საჯარო რეესტრში გორის გამგეობა წისქვილკომბინატის მესაკუთრედ არასდროს დაფიქსირებულა და რაც მთავარია, ამის დამადასტურებელი დოკუმენტიც არსებობს. ანუ დევს ნოტარიუსის მიერ დამოწმებული დოკუმენტი, რომ წისქვილკომბინატი გამგეობის საკუთრებაა და დევს დოკუმენტი, რომ საჯარო რეესტრში ეს სანოტარო აქტი გატარებული არ არის.

ბიზნესმენთა დაცინვა ამით არ დასრულებულა. ცოტა ხანში მათ ისევ მიაკითხეს და აუხსნეს, რომ რადგანაც წისქვილკომბინატის მუშაობის სფეციფიკაში ვერც ახალი მფლობელი ერკვეოდა, ისინი ვალდებული იყვნენ, დარჩენილიყვნენ კომბინატში და ემუშავათ, სანაცვლოდ კი მათ მიერ შექმნილ საწარმოში ხელფასს გადაუხდიდნენ.

„სხვა გზა არ იყო, დავთანხმდით, რადგან ზუსტად ვიცოდით, რომ ამ საქმის უკან ირაკლი ოქრუაშვილი იდგა. ის მიხეილ ქარელისა და ბონდო ვათიაშვილის მეშვეობით ჩვენს ტერორს ახდენდა და დაჭერით გვემუქრებოდა. ბონდო ვათიაშვილი მაშინ გორის მოსამართლე იყო და ყველა ღონეს ხმარობდა, ოქრუაშვილისთვის რომ ესიამოვნებინა. მერე იყო, როცა ოქრუაშვილს წყალი შეუდგა, განაცხადა, ირაკლის საერთოდ არ ვიცნობო. ახლა ხომ დამტკიცდა, რომ მეგობრები არიან და მუდამ ერთად იყვნენ. სწორედ ოქრუაშვილის კანდიდატია ბონდო ..... მერის არჩევნებზე იმ სირცხვილს, რომელიც არჩევნების პირველ ტურში ჭამა გორმა, მეორეში ჩამოირეცხავს და ორივეს საკუთარ ადგილს მიუჩენს“, — ამბობს ორთანეზაშვილი.

როგორც ჩანს, ოქრუაშვილს წისქვილკომბინატის გარეშე ბიზნესმენთა დატოვება არ ეყო და გადაწყვიტა უფრო მეტად დაესაჯა. მისი მითითებით, გიორგი ორთანეზაშვილმა და მირიან ოქროშიაშვილმა (წისქვილკომბინატის მფლობელები) პოლიციის განვითარების ფონდში და კიდევ სხვადასხვა ფონდებში ასობით ათასი ლარი გადაარიცხვინეს და ეს თანხა რომ ეშოვნათ, ბიზნესმენებმა მოძრავი და უძრავი ქონება დააგირავეს. წისქვილკომბინატი კი საბოლოოდ აზერბაიჯანულმა კომპანია „კარმენმა“ მიიერთა. ეს კომპანია ქართულ ბაზარზე მონოპოლისტია და გარდა წისქვილკომბინატებისა, იმ საცავსაც ფლობს, სადაც სახელმწიფომ წესითა და რიგით ხორბლის მარაგი უნდა შეინახოს. შედეგად, დღეს „კარმენს“ პრობლემები რომ შეექმნას, სახელმწიფო ხორბლის მარაგის გარეშე რჩება, რაც ნებისმიერი ქვეყნისთვის უპრეცედენტო შემთხვევაა.

„ჩვენ ეს საქმე ვიცით, მაგრამ ახლა რეალურად იმაზე ვფიქრობთ, რომ ბანკმა ბინა არ გაგვიყიდოს და უბინაოდაც არ დავრჩეთ. საბედნიეროდ, ბანკში მეგობრები მყავს და მაქსიმალურად ხელს მიწყობენ, სხვაგვარად აქამდე ხის ძირში მომიწევდა ცხოვრება. სასამართლოსგან ერთადერთ რამეს ვითხოვ — დაიკითხონ ირაკლი ოქრუაშვილი და ბონდო.... რაც შეეხება მიხეილ ქარელს, მე მოვახერხებ, რომ მისი დაკითხვა სკაიპის საშუალებით მოხდეს და თუ მე ერთ სიტყვას მაინც ვიტყუები, მზად ვარ, პასუხი ვაგო. ქარელი ამას აუცილებლად დაადასტურებს და იტყვის, რომ წისქვილკომბინატი ჩვენ პირადად ირაკლი ოქრუაშვილმა წაგვართვა“, — აცხადებს ორთანეზაშვილი.

სხვათა შორის, ჩვენ მოვიძიეთ და გავარკვიეთ, რომ სწორედ 2004 წელს, წისქვილკომბინატის თემაზე ოქრუაშვილსა და ქარელს გორის გამგეობაში ერთმანეთთან შელაპარაკება მოუვიდათ, რაც საბოლოოდ მუშტი-კრივში გადაიზარდა. ქარელი ამტკიცებდა, რომ კომბინატის დოკუმენტაცია წესრიგში იყო და ბიზნესმენები სუფთად მუშაობდნენ, ოქრუაშვილს კი არაფრის გაგება არ სურდა და ჯიუტად იმეორებდა, ეგ წისქვილკომბინატი ერთ კვირაში ჩემი უნდა იყოსო.

ვერ გეტყვით, როგორი იქნება ამ საქმის ბოლო, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ მხარეები დოკუმენტებით საუბრობენ და იმ ხალხის დაკითხვას ითხოვენ, ვინც ამ საქმეში ფიგურირებს. ოქრუაშვილი კი როგორც წესი, ყველაფერს წინა ხელისუფლებას აბრალებს და აცხადებს, რომ მის წინააღმდეგ გამოთქმული ყველა ბრალდება წინა ხელისუფლების მიერ არის მოგონილი და ეს მაშინ, როცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში მას რამდენიმე ადამიანი ადებს ხელს და კონკრეტულ თემას ედავება.

ნიკა ასლანიძე

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ედუარდ შევარდნაძის ხსოვნის აღსანიშნავად

1999 წელს ედუარდ შევარდნაძემ ერთ-ერთ ამერიკელ დიპლომატთან საუბარში აღიარა, რომ კრემლმა სთხოვა მას, მისცეს შესაძლებლობა, გამოიყენოს საქართველოს სამხედრო ბაზები აღმოსავლეთ ჩეჩნეთზე დარტყმების მისაყენებლად. შევარდნაძემ თქვა, რომ გულდასმითი მოფიქრების შემდეგ მან ამას უარყოფითად უპასუხა. „პირველად 200 წლის განმალობაში ჩვენ რუსებს ვუთხარით უარი, და ისინი ამას არასოდეს დაგვივიწყებენ“.

შევარდნაძე საერთაშორისო არენაზე ცნობილი გახდა, როგორც საბჭოთა პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვის საგარეო საქმეთა მინისტრი, მას ეს პოსტი ეკავა 1985-დან 1991 წლამდე, აგრეთვე როგორც მისი პარტნიორი საბჭოთა ხელისუფლების გარდაქნის პერიოდში.

მოსკოველი კომპრომისების მოწინააღმდეგეები ვერ იტანდნენ შევარდნაძეს, ვინაიდან იგი დაეხმარა გორბაჩოვს, მიენიჭებინა თავისუფლება სსრ კავშირის მოკავშირე ქვეყნებისათვის ვარშავის ხელშეკრულებით, რამაც მიგვიყვანა ყველა ექვსი კომუნისტური რეჟიმის დამხობამდე.

იგი აწარმოებდა მოლაპარაკებას ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანისა და გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების შესახებ.

შევარდნაძის საჯარო გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ რეფორმების მოწინააღმდეგეები ამზადებენ გადატრიალებას, არავინ ყური არ უგდო. 1991 წლის აგვისტოში ეს გადატრიალება მოხდა, მაგრამ შედეგად დაიშალა. საბჭოთა კავშირის დაშლა წინასწარ იყო განსაზღვრული და 1991 წლის 25 დეკემბერს შეურაცხყოფილმა გორბაჩოვმა ხელი მოაწერა აქტს საბჭოთა სოციალისტური რესპუბიკების კავშირის დაშლის შესახებ.

პირველი აღიარება შევარდნაძემ თავის მშობლიურ საქართველოში მიიღო. 20 წლის ასაკში ის შევიდა კომუნისტურ პარტიაში, სწრაფად მიიწევდა ზევით, ებრძოდა კორუფციას თავის რესპუბლიკაში, რომელიც იმ დროს რაღაცით საბჭოთა სიცილიას მოგვაგონებდა. როდესაც 1972 წელს საქართველოს კომპარტიას ჩაუდგა სათავეში, მან დაიწყო რეფორმების განხორციელება სოფლის მეურნეობაში, გლეხებს დამატებით სტიმულებს სთავაზობდა. მაგრამ შევარდნაძემ გამოიყენა იძულებითი ზომებიც, აგრეთვე სხვადასხვა ეშმაკობაც თავისი მიზნების მისაღწევად, რის გამოც მიიღო „თეთრი მელიას“ ზედმეტსახელი.

1992 წელს გადატრიალების შემდეგ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გადაყენების მიზნით შევარდნაძემ შეისმინა თხოვნა და დაბრუნველი, რომელსაც ედგა სათავეში. 1995 წელს შედარებით თავისუფალი არჩევნების დროს შევარდნაძე აირჩიეს პრეზიდენტად, მისმა პარტიამ კი პარლამენტში უმრავლესობა მიიღო. მსოფლიო სავალუტო ფონდისა და დასავლეთის დახმარებით შევარდნაძემ დაიწყო რეფორმების განხორციელება და შემოიღო ლარის ახალი ვალუტა. ქვეყანაში სწრაფად დაიწყო აყვავება დამოუკიდებელმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

შევარდნაძე - მე არ ვენდობოდი გორბაჩოვს

მაბრამ მალე შევარდნაძემ, როგორც რამდენიმე წლით ადრე ელცინმა, დაიწყო ნდობის დაკარგვა თავის ახალგაზრდა და დინამიურ მოკავშირეებში რეფორმატორების რიცხვიდან, აგრეთვე გავლენაც მათზე. მისთვის არაკომფორტული გახდა მწვავე პოლიტიკურ დებატების პირობებში ყოფნა. რეორმები შეყოვნდა, კორუფცია გაძლიერდა, ეკონომიკა კი გაყინვის მდგომარეობაში გავიდა.

შევარდნაძე თავს რეფორმატორად მიიჩნევდა, მაგრამ ეშინოდა, არ დაეკარგა სახელმწიფო ხელისუფლების მართვის საჭეები. როდესაც ლარმა გაუფასურება დაიწყო, მან დააცარიელა სავალუტო რეზერვები იმის მცდელობით, რომ დაეცვა ქართული ვალუტის ღირებულება დოლართან დამოკიდებულებაში. დასავლელი დიპლომატები და საერთაშორისო სავალუტო ფონდი არწმუნებდნენ მას, რომ ვალუტა არ დაიშლება მისი თავისუფალი კონვერტაციის შემთხვევაში, და იგი მაინც დაიშალა.

უშიშროების სამსახური, მათ შორის პოლიცია და არმიაც მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. რუსეთისაგან განსხვავებით, სადაც მათ არანაირი რეფორმები არ განუცდიათ, შევარდნაძე საქართველოში ცდილობდა მათ სრულყოფას. თუმცა, თავის მოქმედებებში იგი მერყეობდა, და სიტუაცია სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. კერძო საუბრებში შევარდნაძე ჩიოდა, რომ დაკარგა ხელისუფლება ძალოვან სტრუქტურებზე.

შევარდნაძეს ახსოვდა ის სიმკაცრე, რასაც საბჭოები იყენებდა სახალხო დემონსტრაციების დასათრგუნად თბილისში და არ გამოიყენა ჯარები და უშიშროების ორგანოები ვარდების რევოლუციასთან ბრძოლისათვის.

რუსეთის უშიშროების სამსახურებს ეზიზღებოდათ შევარდნაძე იმის გამო, რომ მან ხელი შეუწყო საბჭოთა იმპერიის კრახს. ისინი ცდილობდნენ, შური ეძიათ მასზე, ხელს უწყობდნენ მასზე თავდასხმებს. მას გაუმართლა — ის გადარჩა, მხოლოდ ნაწილობრივ დაკარგა სმენა.

მიუხედავად თავისი შინაგანი დაპირისპირებისა, შევარდნაძემ შეინარჩუნა საქართველოს დამოუკიდებლობა მისი ისტორიის კრიტიკულ პერიოდში და დაეხმარა მას, ჩაეყარა საფუძველი მისი დემოკრატიული მომავლისათვის.

National Interest

მედვედევის დაცვა

საშაჰრო და ეკონომიკურ ურთიერთობათა საკითხებში ქართველმა და რუსმა ექსპერტებმა მოილაპარაკეს, რომ აუცილებლობის შემთხვევაში კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს. ამის შესახებ გახდა ცნობილი კონსულტაციების შემდეგ, რომელიც პრაღაში 7 ივლისს გაიმართა რუსეთის მხარის ინიციატივით. იგი ადრე გამოთქვამდა შეშფოთებას შესაძლო ნეგატიური შედეგების გამო რუსეთის ეკონომიკისათვის, რაც გამოდიოდა საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოციირების შესახებ შეთანხმებასა და თავისუფალი და ყოვლისმომცველი სავაჭრო ზოლის ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან.

„ჩვენ განვიხილეთ პოტენციური საფრთხეებისა და გამოწვევების არსებობა. ეს შეეხება სხვადასხვა სფეროს, მათ შორის ტექნიკურ და სანიტარულ საკითხებსაც, აგრეთვე ბაზრების გახსნას და პროდუქციის შემოსვლას. დანარჩენები ექსპერტებმა უნდა შეისწავლონ. აუცილებლობის შემთხვევაში ამგვარი შეხვედრა კიდევ ერთჯერ გაიმართება“, — უთხრა ჟურნალისტებს რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორმა ალექსანდრ ციბულსკიმ პრაღის შეხვედრის შედეგებთან დაკავშირებით.

ამავე დროს რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა ჯერ კიდევ ქართველი და რუსი ექსპერტების შეხვედრის დამთავრებამდე, 7 ივლისს განაცხადა, რომ თუ უკრაინისა და საქართველოს პარლამენტები მოახდენენ ევროკავშირთან შეთანხმების რატიფიცირებას, რუსეთი მიიღებს დაცვით ზომებს, რომლებიც ჰგვანან იმას, რასა ვღებულობთ მოლდოვასთან დაკავშირებით.

„ბუნებრივია, რომ თუ ისეთივე გზით განვითარდება მოვლენები უკრაინაშიც, საქართველოშიც, მაშინ ზომები იქნება იმის მსგავსი, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მოცულობის გათვალისწინებით და რუსეთის ბაზრისთვის მოსალოდნელი შედეგების შესაბამისად“, — განაცხადა მედვედევმა თათბირზე რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრემიერებთან.

რუსეთის ფედერაციის პირველმა ვიცე-პრემიერმა იგორ შუვალოვმა 7 ივლისს განაცხადა, რომ მოლდოვა შეიძლება გამოირიცხოს დსთ-ს ქვეყნების თავისუფალი სავაჭრო ზოლის ხელშეკრულებიდან.

თუმცა, როგორც ელოდებიან, გადაწყვეტილებას დაცვითი ზომების შესახებ მოლდოვასთან ვაჭრობაში რუსეთის ხელმძღვანელობა მიიღებს 16 ივლისისათვის დაგეგმილ სხდომაზე.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

იაპონიაში სუპერტაიფუნმა ორი ადამიანი იმსხვერპლა, ახლა მიდის სახალინისაკენ

სტიქიის მოქმედებისაგან დაახლოებით 30 კაცი დაზარალდა. დაზარალებულთა შორის რუსეთელების შესახებ არაფერს იტყობინებიან. ოკინავის კუნძულზე გაუქმებულია ავიარეისები, დაკეტილია სკოლები და საწარმოები, მოშლილია ელექტრომომარაგება და ამერიკული ავიაბაზების მუშაობა. სტიქია შესუსტდა, მაგრამ მიდის ტოკიოსა და სახალინის მიმართულებით. ასტრონავტის შთაბეჭდილება: „არაფერი ამგვარი არ მინახავს“.

* * *

დონეცკელი სეპარატისტები, რომლებსაც უკრაინის არმია ავიწროებს, ალიარებას აფხაზეთსა და დნესტრისპირეთს სთხოვენ

შეიარაღებული აქტივისტები, რომლებსაც უკრაინელი სამხედროები აიძულებენ, გაათავისუფლონ დაკავებული ქალაქები, აცხადებენ, რომ შერიგება ძალოვანებთან შეუძლებელია, და მათ აქტიურად დაიწყეს მზადება წინააღმდეგობის გაწევისათვის. სეპარატისტებს, რომლებმაც სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადეს, იმედი აქვთ მათ მიერ დაპყრობილი ტერიტორიების აღიარებისა სუვერენული სახელმწიფოების მიერ.

* * *

პოროშენკომ შეამცირა ხარჯები მეცნიერებაზე შეიარაღების წარმოების დაფინანსების გულისთვის

„აღარ იქნება მილიარდობით სახალხო სახსრების ხარჯვა არაესჭირო სამეცნიერო პროგრამებისათვის, რომლებიც მხოლოდ მიტაცების ელემენტებს ემსახურებოდნენ“, — აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა სლავიანსკში ძალოვან სტრუქტურებთან შეხვედრის შემდეგ. დაიწყებენ ყოველივე იმის წარმოებას, რაც უკრაინის არმიას ესაჭიროება.

* * *

ბრაზილია შოკშია: გერმანიის ნაკრებთან ანგარიშით 7:1 წაგების შემდეგ ქვეყანაში უწესრიგობანი დაიწყო

ბრაზილიელი ფანატების ნაწილმა ფეხბურთისადმი სიყვარულის გამო შეაფასეს გერმანელი ფეხბურთელების წარმატება და მიესალმნენ მათ, მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებსაც გაწბილებამ წაგების გამო უბიძგა ხანძრების გაჩენისა და დარბევებისაკენ. ბრაზილიის მთელ რიგ ქალაქებში მოხდა მასობრივი უწესრიგობანი. დაკავებულია სულ ცოტა 11 კაცი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეშინიათ ახალი პროტესტების ტალღებისა.

სულხან-საბა ორბელიანის კვალდაკვალ ევროპაში

24 ივნისი
ზღვიდან და ხმელეთიდან

პიომბინო, რომელიც ზღვაში შეჭრილ კონცხზე მდებარეობს, ეტრუსკებს დაუარსებიათ ანტიკურ ეპოქაში. ერთი ხანობა იგი პიზის რესპუბლიკის მნიშვნელოვანი პორტი ყოფილა.

შუა საუკუნეების განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა და არაერთი პატრონი გამოიცვალა. სულხან-საბა ორბელიანის დროს ცალკე სამთავრო ყოფილა. საბა პიომბინოში არ შესულა, შორიახლოს ჩაუარა და ის კონცხი დაინახა ზღვიდან, რომელსაც მე ხმელეთიდან გადავუღე ეს ფოტო.

25 ივნისი
ბონდო-54 და ნაპოლეონი-200

თუმცა, ჩვენ აქ სულხან-საბას ნაკვალევმა მოგვიყვანა, იტალიური კუნძული ელბა, უპირველეს ყოვლისა, ნაპოლეონ ბონაპარტის სახელთან არის დაკავშირებული. საბას მოგზაურობიდან 100 წელი იყო გასული, როცა ფონტენებლოს ზავის თანახმად, ნაპოლეონი ელბაზე გადაასახლეს იმპერატორის საკადრისი პატივით.

მას შემდეგ ორი საუკუნე გავიდა და ელბელები წელს ამ თარიღს გამორჩევით აღნიშნავენ. პორტოფერაიო – კუნძულის მთავარი ქალაქი და მთავარი პორტი „საიუბილეო“ პლაკატებით იყო მოფენილი. აი, მეორე თარიღი კი კუნძულს შედარებით შეუმჩნეველი დარჩა, თუმცა, ჩვენ სწორედ ის აღვნიშნეთ გამორჩევით.

25 ივნისს, ბონდო ქურდაძე, რომელსაც მისი ასაკის გამო სებორგაში სულ ბამბინო ეძახეს, 54 წლისა მოიყარა. მთელი დღე არ შეწყვეტილა მის ტელეფონ(ებ)ზე რეკვა და მესიჯები.დაბადების დღე მე პიომბინოშივე მივულოცე დილაადრიანად და საჩუქრად რა მოგართვა-მეთქი, ვკითხე. ამაზე მეტი რა უნდა მომართვა, ელბაზე მივდივართო. ბონდოს ნაპოლეონი ჰყვარებია და ბორნიდან მოყოლებული, მთელი დღე მადლიერებით ახსენებდა სულხან-საბა ორბელიანს, რომელმაც 300 წლის წინათ ერთი დღით ელბაზეც შეიარა. ამას როგორ ვიფიქრებდი, რომ ოდესმე, თანაც სწორედ ჩემს დაბადების დღეზე, იმ კუნძულზე აღმოვჩნდებოდი, სადაც ნაპოლეონი გადაასახლესო! არათუ ელბაზე აღმოჩნდა, ბონდომ იმ დღეს ნაპოლეონის ორივე მუზეუმი დაათვალიერა პორტოფერაიოში და მისი პორტრეტების გვერდითაც იღო და იღო სურათები.

საღამოს სასტუმროში ბონდოს დაბადების დღესთან დაკავშირებით თავს ცოტაოდენი სილაღის უფლება მივეცით და თითო ბოთლი ტოსკანური ღვინო გეახელით. მერე ბონდო ატყდა, უნდა გავისეირნოო და ვერაფრით გადავაფიქრებინე. თითქოს რაღაც წინათგრძნობა მქონდა, რომ ფათერაკს უნდა გადაყროდა. მართლაც, მოსახვევიდან დიდი სიჩქარით გამოვარდნილა მანქანა, რომელსაც ბონდოზე ნასვამი იტალიელი გოგონა მართავდა და იუბილარს რომ არ ემარჯვა, მისი დაბადების და დაღუპვის დღეები ერთმანეთს ტრაგიკულად დაემთხვეოდა.

ახლა კი დავსვი აქ ეს ორი სმაილიკი, მაგრამ მაშინ საქმე სასმაილოდ ნამდვილად არ მქონდა. არც ბონდოს ჰქონდა სასმაილოდ საქმე, კარგა გვარიანად იყო შეშინებული. დარწმუნებული ვარ, სხვა დროს, როცა ის ელბაზე თავის დაბადების დღეს აღნიშნავს, გვიან ღამით პორტში სასეირნოდ არასდიდებით არ გავა! აღელვებული კარგა ხანს მიყვებოდა დაწვრილებით თავისი ფათერაკის ამბავს.

იტალიურ ტელევიზიებს მრავალსაათიანი საფეხბურთო მიმოხილვები უკვე დამთავრებული ჰქონდათ, როცა ჩვენ საგულდაგულოდ შენახული კიდევ ერთი ბოთლი გავხსენით და კიდევ ერთხელ შევწირეთ მადლობა უფალს, რომ დღევანდელ ხიფათებს მშვიდობიანად გადავურჩით.

25 ივნისი
წაქცევა ელბა(ქიძე)ზე

არ ვიცი – სადღაც მაქვს წაკითხული, არ ვიცი – ძველებისგან მსმენია, მაგრამ რატომღაც ისე მახსოვს, რომ სიზმარში წაქცევა კარგის ნიშანია. ჰოდა, მოვდივარ წუხანდელ სიზმარში შინისაკენ, ჩამოვიარე ელბაქიძის დაღმართი და სადღაც ვისკის მაღაზიასთან მოულოდნელად წავიქეცი. ქუდი ხომ არ დამისველდა-მეთქი, პირველად ეს გავიფიქრე სიზმარში. ქუდიც მშრალი აღმოჩნდა და მეც საღ-სალამათს გამეღვიძა, თუმცა, რაღაც სიზმრისეული განგაში თუ ავი წინათგრძნობა დილიდანვე ამყვა.

არადა, მშვენიერი დღე იყო თავისი ნახევარსაათიანი კოკისპირული წვიმით, მაგრამ მაინც მშვენიერი ამინდით, ნაპოლეონის მუზეუმებით, ულამაზესი პორტო-აძუროთი, ბონდოს დაბადების დღით...

პორტო-აძუროდან ვბრუნდებოდით პორტოფერაიოში. ერთი ფოტოკამერის ყველა ელემენტი უკვე დამჯდარიყო, მეორე კიდევ გაქაჩავდა რამდენიმე კადრს. ის იყო, ფოტოაპარატები კისრიდან უნდა ჩემომეხსნა, რომ მოსახვევში საღამოს მზით განათებული პორტოფერაიოს უმშვენიერესი ხედი გამოჩნდა. იმ დღეს, როგორც მერე დავითვალე, 2800-ზე მეტი კადრი მქონდა გადაღებული და პორტოფერაიოზე ერთი საშუალო ფოტოალბომის გაკეთებაც კი შემეძლო, მაგრამ რატომღაც იმ ხედის დაფიქსირებაც მოვინდომე. ბონდომ მანქანა პირველი შესაძლებლობისთანავე გამიჩერა და მე ასიოდე მეტრით უკან მომიხდა დაბრუნება.

ორივე კამერა კისერზე მეკიდა, დაცლილიც და რამდენიმე კადრს რომ კიდევ გაქაჩავდა, ისიც. უკვე კარგა გვარიანად ვიყავი დაღლილი. მივედი გზის პირზე და შევეცადე, ისე გავმძვრალიყავი მაღალ მცენარეებში, რომ საღამოს პორტოფერაიოს ხედი სუფთად გამოჩენილიყო. თან ვიზირში ვიყურებოდი და თან, როგორც ჩანს, თითო ნაბიჯით წინ მივიწევდი თავდაღმართზე.

უცებ მიწა გათავდა! მორიგი ნაბიჯი რომ გადავდგი, ფეხი ვერაფერზე დავდგი! თავით გადავეშვი ანწლებსა და ეკალბარდებში. წაქცევის წესებიც და ინსტინქტიც ასეთ დროს ხელებით სახის დაცვას გავალდებულებს ადამიანს, მაგრამ მე ორივე ხელი ფოტოაპარატებს შევაშველე და სახე მცენარეებში ვდურთე.

ბონდო თავის მანქანიანად მოშორებით იყო, ვერ მხედავდა. რამე რომ მომსვლოდა, კარგა ხანს არც მომიკითხავდა, მიჩვეული იყო ხანგრძლივ ლოდინს – მე რომ სადმე გადასაღებად გავიდოდი, ის უადგილო ადგილას გაჩერებულ



მანქანას ყარაულობდა. რომ წამოვდექი, ჯერ ფოტოაპარატებს დავხედე და მერე მოვისინჯე კიდურები, რომელიმე ხომ არ მომტყდა-მეთქი. მადლობა ღმერთს, ექვსივე გადარჩენილიყო – ორი ფოტოაპარატი, ორი ხელი და ორიც ფეხი. თავიც მთელი იყო. ნაწვიმარზე ტანსაცმელი ამომეგანგლა მხოლოდ.

ამასობაში განათება შეიცვალა და ხედი ისე ლამაზი აღარ იყო, მაგრამ ის კადრი მაინც დავაფიქსირე.

მანქანასთან რომ მივედი, რამ გაგამწვანაო, – ბონდომ, – მოიტა აპარატი, სურათი გადაგიღოო. მექანიკურად მივეცი და ბოლო კადრები მან ჩააჩხაკუნა. მერე მანქანის სარკეში ჩამახედა – თეთრი წვერი ერთგან მწვანედ შეღებილიყო და ბებერ პანკს დავმსგავსებოდი. შენ ჩემი გამწვანება მაშინ გენახა, რომელიმე კამერას რამე რომ მოსვლოდა-მეთქი, ვუთხარი ბონდოს და ჩემი წაქცევის ამბავი დაწვრილებით ვუამბე.

უკვე სასტუმროში მოსულს, წუხანდელი სიზმარიც გამახსენდა. არა, მაინც რისი ნიშანია სიზმარში წაქცევა? კარგის თუ ცუდის? ცხადში რომ წავიქეცი, რა თქმა უნდა, ცუდია, მაგრამ რომ გადავრჩი და ფოტოაპარატებიც რომ გადამირჩა?

ბონდოს მიერ გადაღებულ ჩემს მწვანეწვერიან და მოთხვრილცხვირიან პორტრეტთან ერთად ტექსტს იმ ფოტოსაც ვურთავ, რომელსაც კინაღამ გადავყევი. დიდი ვერაფერი გამოვიდა. არ ღირდა ამ კადრისთვის თავის გაწირვა!

25 ივნისი
ბანაობა პორტო-აძუროში

საბასეულ ფორტე ერკოლეს ანუ პორტო-ერკოლეს დღეს პორტო-აძურო – ცისფერი პორტი ჰქვია. ოდესღაც იგი გემმრავალი და ხალხმრავალი ნავსადგური ყოფილა. დღეს აქ დიდი ხომალდები არ შედიან და მისი ულამაზესი ყურე იახტებით არის სავსე. თავად ქალაქი კი, უფრო სწორად – სოფელი, ტურისტებით და დამსვენებლებით არის გაძეძგილი.

მისი მარინა პირდაპირ პლაჟს ებჯინება. პლაჟი პატარაა და გადავსებული, მაგრამ ბონდოსთვის მაინც მოიძებნა ადგილი. სანამ მე ფოტო-ვიდეოგადაღებას მოვრჩებოდი, ბონდომ ორჯერ მოასწრო ზღვაში დასველება და გაშრობა. ასეთი საჩუქარი უძღვნა მან თავისთავს საკუთარ დაბადების დღეზე. როგორია ბანაობა პორტო-აძუროში! მაგრამ ბონდომ, რომელმაც თავის თავს ერთგული სანჩო-პანსა უწოდა, ეს ნამდვილად დაიმსახურა. მთელი ამ კუნძულის გუბერნატორობაც დაიმსახურა, რასაკვირველია!

ხოლო პორტო-აძურო ძალიან ფოტოგენური აღმოჩნდა. ამინდმაც ძალიან შეგვიწყო ხელი. პორტო-აძუროსაც და მეც. ბონდოსაც, რა თქმა უნდა!

26 ივნისი
ზარების რეკვა პორტო-ერკოლეში

მე არ ვიცი, როგორია პორტო-ერკოლე ზღვიდან, საიდანაც მას საბამ შეავლო თვალი, მაგრამ ხმელეთიდან იგი მშვენიერი სანახავია. საღამო იყო, აქ რომ ჩამოვედით. ყურეზე უკვე ჩრდილი იწვა, ხოლო ჩამავალი მზის სხივები უჩვეულოდ თბილი შუქით ანათებდა ბორცვებზე შეფენილ სახლებსა და ეკლესიას. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ ეკლესიაში უნდა იყოს დაკრძალული დიდი იტალიელი მხატვარი კარავაჯო, რომელიც პორტო-ერკოლეში გარდაცვლილა მალტელი რაინდების მიერ მიყენებული ჭრილობების შედეგად 1610 წელს.

სულხან-საბასა და კარავაჯოს გარდა ამ მიდამოებს უკავშირდება ნიდერლანდის დედოფლის იულიანას, ანდრეი სახაროვის, რაფაელა კარასა და სხვათა გამოჩენილ ადამიანთა სახელები.

პორტო-ერკოლე მონტე-არგენტარიოს ნაწილია. ეს იტალიური კომუნა მდებარეობს ნახევარკუნძულზე, რომელიც სამი ისეთი წვრილი ზოლით უკავშირდება კონტინენტს, გეგონება, სადაცაა სამივე გაწყდება და ნახევარკუნძული კუნძულად იქცევაო! შუა ზოლი სულაც ხიდია, მეტი არაფერი. ეს ხიდი პატარა ქალაქ ორბეტელოში იწყება. სწორედ აქაური სასტუმრო ავარჩიე ღამის სათევად. ქალაქის სახელწოდებაში ფონეტიკური კავშირი დავინახე სულხან-საბასთან და იმიტომ: ორბეტელო – ორბელიანი.

უშუალოდ პორტო-ერკოლემდე კი აქედან ათიოდე წუთის გზაა. ეს პატარა სოფელი მოზრდილი ყურის გარშემო შემოჯარულა და ძველ თუ ახალ ნაგებობებს თითქოს ალყაში მოუქცევიათ ქათქათა იახტებით გადაპენტილი მარინა.

მარინას ზემოდან უძველესი ციხე და ეკლესია დაჰყურებს. ეკლესიის სამრეკლო ყველა ნაგებობაზე მაღლაა, თუ ციხეს არ ჩავთვლით. ის იყო, პირველი კადრები გადავიღე, რომ სამრეკლოს ზარები აგუგუნდა. საღამოს 8 საათი იყო. ყველაფერი გაყუჩებულიყო, მხოლოდ ზღვის სუნთქვის და ზარების ხმა ისმოდა. ფოტო, რომელიც ამ ტექსტს ერთვის, სწორედ იმ მომენტშია გადაღებული, როცა ეკლესიის ზარები გუგუნებდნენ. ძალიან მინდა, რომ ამ ფოტოს მნახველს ზარების ხმაც ჩაესმოდეს ყურში.

ვწერ ამ სიტყვებს და თვალი ტელეეკრანისკენ გამირბის. თითქმის ორი კვირაა, ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყო ბრაზილიაში და მე ყველანაირად ვცდილობ, არც ფორმაციულად და არც ემოციურად არ ჩავერთო მასში, არ გამოვიდე საბასეული სამყაროდან. მაგრამ როგორ გინდა, ყურადღება არ მიაქციო ესპანეთის კრახს? ან ინგლისისას? ან იტალიისას? ან კოლუმბიელთა და ბელგიელთა 3-3 მოგებას? ახლაც თვალი ტყუილად არ გამირბის ტელეეკრანისკენ. ალჟირელები რუსებს მერვედფინალის მიღმა ტოვებენ! მატჩი იწურება და რუსებს – ფეხბურთელებსაც და გულშემატკივრებსაც – სახეები წაშლიათ...

პორტო-ერკოლეზე გადის რომის საზღვარიო, საბა წერს. მართლაც აქ, არჯენტარიოსთან მთავრდება ტოსკანა და იწყება ლაციო თავისი რომითა და ჩივიტავეკიით.

ხვალ ჩივიტავეკიაში ვიქნებით და იქიდან მივადევნებთ თვალს ევროკავშირთან ასე ნანატრი ხელშეკრულების გაფორმებას. ეს მართლაც უმნიშვნელოვანესი მომენტია საქართველოს ისტორიაში. იმედი მაქვს, ამ პროცესის მონაწილეებსა და გამშუქებლებს რაღაც ფორმით გაახსენდებათ, რომ იმ გზის სათავესთან, რომელიც დღეს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ასე ფართოვდება, ჩვენი დიდი წინამორბედი – სულხან-საბა ორბელიანი(ც) იდგა.

ვწერ ამ სიტყვებს, ვათვალიერებ დღეს გადაღებულ ფოტოებს, ვუყურებ ტელეეკრანზე რუსების წაშლილ სახეებს და მეჩვენება, რომ ზარებს დღეს საღამოს პორტო-ერკოლეში სულხან-საბა ორბელიანი რეკავდა. სახვალიო ზარებს რეკავდა. საევროპო ზარებს.

პაატა ნაცვლიშვილი.

◎ ფეხბურთი

უმაღლესლიგელ კლუბებს სეზონზე 450 000 ლარი გადაეცემათ

თითქმის გადაწყვეტილია, რომ უმაღლესი ლიგა 16-გუნდიანი იქნება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე თავიდან 14-გუნდიანობის საკითხი იხილებოდა, შემდეგ 16 და 18-იც ითქვა. კიდევ კარგი, 24-მდე არ ავიდნენ, როგორც ინგლისის ჩემპიონშიპშია. სტადიონები ასარჩევად გვაქვს და კვალიფიციური ფეხბურთელები (ან მწვრთნელები), უმაღლეს ლიგას რომ დააკმაყოფილებენ, რამდენიც გინდათ.

მეორე მხრივ, 14-გუნდიანი როგორ წარმოედგინათ? 4 გუნდი გადმოვიდოდა პირველი ლიგიდან, ხოლო 2 გავარდებოდა. გარკვეულწილად ესეც ეწინააღმდეგებოდა სპორტულ პრინციპსა და დებულებას, რადგან პირველი ლიგიდან 4 გუნდის ამოსვლა არ იყო გათვალისწინებული.

ხვალ საბოლოოდ გამოცხადდება გუნდების რაოდენობა, თუმცა სხდომიდან გამოსული პიროვნებები ერთხმად ამბობდნენ, მორჩა, 16-გუნდიანობა გადაწყდაო. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლევან ყიფიანის თქმით, ამ ეტაპზე მოძიებული თანხა ზამთრამდე ეყოფათ კლუბებს, ხოლო მეორე ეტაპისთვის საჭირო თანხა შემდეგ დარიგდება. ყიფიანმა აღნიშნა, რომ ეს გარდამავალი პერიოდია და ამ პერიოდის შემდეგ უკეთ იმოქმედებენ ფეხბურთის განვითარების პროგრამით, რომელიც სამინისტროს აქვს შემუშავებული.

როგორც შევიტყვეთ, სეზონზე ერთი უმაღლესლიგელი კლუბისთვის 450 000 ლარია გამოყოფილი – 250 000 ახალ წლამდე, 200 000 კი მეორე ეტაპზე, ანუ თვეში 50 000 ლარი. ესაა გათვალისწინებული აგვისტოდან.

პირველი ლიგის გუნდებზე გამოყოფილი თანხა 200 000 ლარია ანალოგიური პრინციპით.

გაზრდის 16-გუნდიანობა მასობრიობას? ვერა, რადგან ხარისხი არასოდეს გამოიხატებოდა რაოდენობაში. არც სპორტული პრინციპებია დაცული.

გეჟან დოლიძე

◎ მუნდიალი – 2014

კაპიტულაცია ბრაზილიურად

როცა გუნდი მსოფლიოს თხუთმეტ ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას და ნახევარფინალში მეთერთმეტედ(!) ითამაშებს, თანაც ამ უფლებას ზედიზედ მეოთხედ მოიპოვებს, ძნელია მის გამარჯვებას სენსაციური უწოდო, მაგრამ...

ბრაზილიამ ერთხელ უკვე იწვნია საშინაო მუნდიალზე დამარცხების სიმწარე შორეულ 1950 წელს და გვირგვინის მეექვსედ დადგმის შანსს ხელიდან აღარ გაუშვებსო – უმთავრეს არგუმენტად ეს ფაქტი მოჰყავდათ ლუიშ ფელიპე სკოლარის შეგირდთა ქომაგებს, მაგრამ მხოლოდ საკუთარი კედლები რომ შველოდეს საქმეს...

უპირველესად, ვაღიაროთ, რომ ეს არ იყო საჩემპიონოდ შემართული ანსამბლი. დიახ, როცა თვითნაბად ტალანტთა მექაში ტრავმირებული ნეიმარის სრულფასოვანი შემცვლელი ვერ მოიძებნება, ძნელია უმაღლესი ტიტულის დაუფლებაზე ოცნება. აღარაფერს ვამბობთ დაცვის დისკვალიფიცირებული ბურჯის ტიაგო სილვას დუბლიორზე – მართალია, დანტე მიუნხენის „ბაიერნში“ ბრწყინავს, მაგრამ ეროვნული ნაკრები და უმაღლესი ფორუმი მაინც სხვაა. სხვათა შორის, რა ხვითონიც იყვნენ მასპინძლები, ქვეჯგუფსა და წინა პლეი ოფებშიც გამოჩნდა, მაგრამ მსაჯებმა და იღბალმა ისინი იხსნეს. თურმე, სჯობდა სამართალს პური მანამდე ეჭამა – ხომ გადაურჩებოდნენ მარადიულ ლაქას.

რაც შეეხება ბუნდესმანშაფტს, ვიმედოვნებთ, შთამბეჭდავი ანგარიში 7:1 მას დათვურ სამსახურს არ გაუწევს. შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ ტურნირზე იოაჰიმ ლიოვის კრებული უკვე დამუხრუჭდა განასთან და ალჟირთან, ეს კი პირველ ფინალისტს პრევენციად უნდა გამოადგეს.

და ბოლოს – ქებათაქება მიროსლავ კლოზეს, რომელმაც მე-16 სამუნდიალე გოლი გაიტანა და ერთპიროვნული ბომბარდირი გახდა.

გიორგი შოთაძე

◎ რაგბი

ნამიბია – რვა წლის შემდეგ

საძართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მეტოქე 2015 წლის მსოფლიო თასზე რვა წლის შემდეგ კვლავ ნამიბიის ნაკრები იქნება.

2007 წლის მსოფლიოზე ამ ქვეყნის გუნდი 30:0 დავამარცხეთ, მაგრამ სოლიდურ უპირატესობას დასკვნით 20 წუთში მივაღწიეთ და გადამწყვეტი ლელოები კონტრშეტევებზე გავიტანეთ. ამას გარდა, ნამიბიას ტესტ-მატჩებში ორჯერ ვძლიეთ და ერთხელ აფრიკელებმა გვაჯობეს.

მეტოქის შესახებ ინფორმაცია მოგვიანებით იყოს და ახლა კი გზა, რომლითაც ის მსოფლიო თასამდე მივიდა:

მადაგასკარის დასკვნით ეტაპზე გუნდი პირველ ტურში კენიასთან 22:29 დამარცხდა, მაგრამ მერე ზიმბაბვეს 24:20 აჯობა და შანსი დაიბრუნა, მაგრამ მეტოქეებზეც იყო დამოკიდებული. საუკეთესო მდგომარეობაში მყოფმა 10-ქულიანმა კენიამ ზიმბაბვეს პირველ ტაიმში წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ძალა აღარ ეყო და 10:28 დამარცხდა. რადგან სამ ლელოზე მეტი ზიმბაბვემაც ვერ გაიტანა და პრემია ვერ აიღო, შანსი ნამიბიას დაუბრუნდა და ისარგებლა კიდეც. მათ აუტსაიდერი მასპინძელი პირველივე ტაიმში გატეხეს, საბოლოოდ 89:10 დატორეს და მსოფლიო თასზე თამაშის უფლება მიიღეს, ხოლო ზიმბაბვე რეპეშაჟის ნახევარფინალში კრასნოიარსკში რუსეთს დაუპირისპირდება.

კობა კობახიძე

◎ თაობა

არის ასეთი სკოლა!

საფეხბურთო სკოლა „საქართველოს უნივერსიტეტის“ 10 წლის იუბილე ბრაზილიის მსოფლიოს ჩემპიონატის მღელვარე დღეებს დაემთხვა, რის გამოც მის პომპეზურად აღსანიშნავად არავის ეცალა, მაგრამ ორიოდე თბილი სიტყვის თქმა, ვფიქრობ, აუცილებელიცაა – სხვა თუ არაფერი, იქ დაფრთიანებულმა თაობამ რა დააშავა?

„სპორტლიდერი“ – ასეთია ჩვენი წერილის გმირის ნათლობის სახელი, რომელიც მოგვიანებით „ვეფხვებმა“ შეცვალა, 2010 წლიდან დღემდე კი, როგორც უკვე გაუწყეთ, იმ უმაღლესი სასწავლებლის სეხნია გახდა, რომელმაც მზრუნველი კალთა გადააფარა.

როცა საგულისხმო თარიღზე ვსაუბრობთ, დამსახურებული მადლიერების სტრიქონები უნდა მივუძღვნათ საქართველოს უნივერსიტეტის რექტორს მანანა სანაძეს, სკოლის დირექტორ გივი ნეფარიძეს, პედაგოგებს – გიორგი ბუაძეს, ზაზა დიდებაშვილს, პაატა კირთაძეს, პაპუნა ტაბაღუას, ბასილ გუგუჩიას, გიორგი სირაძეს, კახა პაპავაძესა და მეკარეთა მწვრთნელ გიორგი რეხვიაშვილს, აგრეთვე მათ წინამორბედებსა და გულშემატკივრებს.

ვიმედოვნებთ, რომ ამ სკოლის აღსაზრდელთა მომავალი წარმატებები კიდევ არაერთხელ მოგვცემს მათი შექების საბაბს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჩოგბურთი

უიმბლდონმა რეიტინგს სახე უცვალა

უიმბლდონის მოგებამ სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი რეიტინგსიის მოწინავე პოზიციაზე დააბრუნა, მესამე ადგილამდე კი ფინალისტი როჯერ ფედერერი დაწინაურდა, რომელმაც ამ საფეხურიდან თანამემამულე სტენ ვავრინკა დააქვეითა.

უიმბლდონის შარშანდელმა ჩემპიონმა ენდი მარეიმ ერთბაშად 5 ადგილით დაიხია უკან, ნახევარფინალისტი ბულგარელი გრიგორ დიმიტროვი კი მოწინავე ათეულში შევიდა.

ქალთა კლასიფიკაციას რაც შეეხება, ერთეულთა თანრიგში გამარჯვებულმა ჩეხმა პეტრა კვიტოვამ 2 საფეხურით წინ წაიწია და სადღეისოდ მეოთხეა. საგრძნობი პროგრესი აქვს 20 წლის კანადელ ეჟენი ბუშარს. უიმბლდონის ჩრდილოამერიკელი ფინალისტი მეშვიდე პოზიციამდე აღზევდა.

Emirates ATP Rankings

1 (2) ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) 13130, 2 (1) რაფა ნადალი (ესპანეთი) 12670, 3 (4) როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 6110, 4 (3) სტენ ვავრინკა (შვეიცარია) 5770, 5 (6) ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) 4410.

WTA Tour Singles Rankings

1 (1) სერენა უილიამსი (აშშ) 9510, 2 (2) ნა ლი (ჩინეთი) 6960, 3 (3) სიმონა ხალეპი (რუმინეთი) 6785, 4 (6) პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი) 6070, 5 (4) აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) 5330.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

სხვა ლამაზმანებს არც ბელენ როდრიგესი ჩამორჩა

ცნობილმა არგენტინელმა მოდელმა ბელენ როდრიგესმა მოუცლელობის გამო ვერ შეძლო ბრაზილიაში მუნდიალზე ჩასვლა და მშობლიური გუნდისთვის მხრდაჭერა, თუმცა, მკერდაზიდული ბელენი იმედოვნებს, რომ „ალბისელესტე“ მსოფლიოს ჩემპიონი მის დაუმხმარებლადაც გახდება და ამ ფაქტს იგი სპეციალურ ფოტოსესიას მიუძღვნის.

როგორც იცით, მთელი მსოფლიოს ლამაზმანეთი ამჟამად სწორედ ბრაზილიაშია თავმოყრილი და ყველა ცდილობს საკუთარი იმიჯი მუნდიალით კიდევ უფრო მეტად აიმაღლოს. სწორედ ამიტომაცაა ბელენ როდრიგესი გულდაწყვეტილი, რომ ლამაზ ქალთა კოჰორტას გამოაკლდა.

„თუკი არგენტინის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდება, ჩემ მორიგ ფოტოსესიას არგენტინის ნაკრების ფეხბურთელებს მივუძღვნი, რადგან მხოლოდ მათ შეუძლიათ ჩემი და არგენტინელი ხალხის დიდი ხნის ოცნებების ასრულება“ – ამბობს თვალებუუჟუნა ბელენ როდრიგესი.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ახლახან გამოვიდა

წამლობა საქმიან-ბარაქიანი სიტყვით...



ვის არ უყვარს, ვინ არ შენატრის თავის მშობელ კუთხეს, მაგრამ ეს ფშაველი ხვთისავარი, 80 წლის კოლეგა და გულითადი მეგობარი ხვთისო არჩემაშვილი, ვინ ყოფილა, ხალხო!

ვათვალიერებ მის ახლახან გამოცემულ სქელტანიან წიგნს **„უნდა ვეწამლოთ სამშობლოს“,** რომელშიც შესულია ხვთისოს მიერ სხვადასხვა დროს საქართველოს რადიოში (იგი თავის დროზე შესანიშნავი რადიოჟურნალისტი იყო) და სხვადასხვა გაზეთში გამოქვეყნებული წერილები, ნარკვევები, მოთხრობები, მოგონებები, ლექსები.

ჰოდა, ეს ძალზე საინტერესო კრებული ღვაწლმოსილი ჟურნალისტისა, სწორედ ფშავის, მისი ვაჟკაცი, მშრომელი ხალხის ტკბილ-მწარე ყოველდღიური ცხოვრების აღწერით იწყება. ხვთისო არჩემაშვილი დიდი სიყვარულით, სევდით, ხანაც — მრისხანებით ავსილი მოგვითხრობს ფშაველებზე, ფშავის, საერთოდ, მთის უამრავ პრობლემაზე... აქ შეტანილია რადიორეპორტაჟები, ნარკვევები, ინფორმაციები...

შემდეგ პრესას, ბეჭდვითი სიტყვის ძალას უხმობს ხვთისავარი, ოღონდ თავისი მშობელი კუთხე ზედმიწევნით წარმოაჩინოს. ხშირად აღწევს კიდეც მიზანს მისი სიტყვის ძალა... შემდეგ და შემდეგ ხვთისო არჩემაშვილი აფართოებს თვალსაწიერს, აფართოებს ითქმის, თუმცა, ყოველივე ეს, მაინც მშობელ კუთხესთან კავშირშია. ჰოდა, წიგნში ვხვდებით მის მგზნებარე პუბლიცისტიკასაც, თბილისის თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხის გადაუდებელ საკითხებზე პროფესიულ მსჯელობასაც, ძვირფასი ადამიანების პორტრეტებსაც, ჩანახატებსაც, მოთხრობებსაც, ლექსებსაც...

მოკლედ, ამ კაცმა უნდა თქვას, სწორედაც, რომ ხვთისა ვარო, ვცდილობდი და ვცდილობ, საქმიანი სიტყვით ვეწამლო სამშობლოსო.

მეტი რა ჰქნას, ხვთისავარმა?!

ვილენ მარდალეიშვილი

◎ ინფორმაცია

გარდაიცვალა მსახიობი ლიანა ასათიანი

— მე-20 საუკუნის ულამაზესმა მსახიობმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართულ კინემატოგრაფიაში. ლიანა ასათიანს ნათამაშები აქვს ისეთ ცნობილ ფილმებში, როგორებიცაა: „გიორგი საკაძე“, „ჭრიჭინა“, „ჭირვეული მეზობლები“, „მაცი ხვიტია“, „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „ერთი ცის ქვეშ“ და სხვა. გარეგნობითა და სამსახიობო არტისტული შესრულებით ლიანა ასათიანი მსოფლიო ვარსკვლავი გახლდათ.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია თანაგრძნობას უცხადებს ლიანა ასათიანის ოჯახსა და ახლობლებს.

◎ ხსოვნის საღამო

ჯუმბერ ბეთაშვილი ერთ ლამაზ ქალაქში ლამაზად ცხოვრობდა...

აფხაზეთის ტრაგედიის თბილისური გამოძახილი

ჯუმბერი, ჟიული, რაული, გურამი, მამია... — ამ ბიჭებმა სიკვდილით სიკვდილი დათრგუნეს, როცა 27 სექტემბერს ცეცხლწაკიდებულ სოხუმში მტარვალს ქედი არ მოუხარეს, გმირულად ჩახედეს სიკვდილს თვალებში და მომავალ თაობებს არა ლეგენდა, არამედ ცოცხალი ისტორია დაუტოვეს.

„ᲪᲠᲔᲛᲚᲘᲐᲜ ზღვაში ბანაობს მთვარე, მთვარე დაღლილი გმირებზე ფიქრით“, — ამ სტრიქონებით გაიხსნა ხსოვნის საღამო მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში, რომელიც 27 სექტემბერს სოხუმში გმირულად დაღუპულ **ჯუმბერ ბეთაშვილს** მიეძღვნა. იგი 8 ივლისს 75 წლისა გახდებოდა. ჟიული შარტავასთან ერთად ჯუმბერიც, რომელიც სახელმწიფო მდივანი იყო, აფხაზეთის მთავრობის სახლში დარჩა. იქიდან ბოევიკებმა გამოიყვანეს და ამის შემდეგ მისი კვალი გაქრა... არსებობს მისი სიკვდილის უამრავი ვერსია: დახვრიტესო, ზღვაში გადააგდესო, აწამესო, მერე სხვა დახოცილებთან ერთად „ბულდოზერით“ მიწა მიაყარესო, ითქვა ისიც, რომ ცოცხალიაო... მოკლედ... ყველაფრის მიუხედავად, არ გვინდა დავიჯეროთ, რომ მის სიკვდილში აფხაზის ხელი ურევია. აფხაზები მას არ გაწირავდნენო. მეტიც, სერგეი ბაღაფშს ფეხით მოუვლია ის ადგილები, სადაც, შესაძლოა, ჯუმბერის ცხედარი ყოფილიყო, მაგრამ უშედეგოდ.

საღამო მსახიობ დიმა ჯაიანს მიჰყავდა. მას ესწრებოდნენ ჯუმბერ ბეთაშვილის მეგობრები, თანაკლასელები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლები, საქართველოს ხელისუფლების წევრები, საქართველოს თავდაცვის მინისტრი და სამინისტროს სხვა წარმომადგენლები... დროდადრო ჯუმბერის მოგონებებს მუსიკალური ნაწილი ცვლიდა, მისი ხსოვნის სხვა საღამოების ამსახველი ფირებიც აჩვენეს. ჯუმბერ ბეთაშვილის მეუღლემ ქალბატონმა ნელი ჩოჩიბეიშვილმა და მისმა ქალიშვილებმა ყველაფერი იღონეს, რათა საღამო უზადოდ ჩატარებულიყო. მათ კარგად იციან, რომ ეს მხოლოდ მათი ოჯახის წევრის გახსენება არ არის, ამით პატივს მიაგებენ ყველა იმ დაღუპულს, რომლებმაც ყველაზე ძვირფასი — სიცოცხლე მიუძღვნეს სამშობლოს ზვარაკად.

ᲒᲘᲐ ᲒᲕᲐᲖᲐᲕᲐ (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელი): „ჯუმბერი იყო კაცი, რომელიც ერთ ლამაზ ქალაქში ლამაზად ცხოვრობდა. იგი უყვარდათ საოცარი ადამიანობისთვის, კარგი იუმორისთვის, მშვენიერი გარეგნობისთვის, განსაკუთრებული ურთიერთობისთვის. ერთხელ შევხვდი, უკვე ომი იყო გაჩაღებული, სამხედრო ფორმით იყო და იარაღი ჰქონდა — საკმარისად მოძველებული შაშხანა. როცა ვუსაყვედურე, გაიცინა და მითხრა, ეს ისე დამაქვს, სხვათა შორის, თორემ, ვის უნდა ვესროლო ან ვინ უნდა მესროლოსო. მან ბოლომდე უერთგულა ბატონ ჟიულის და... თავის ქვეყანას. არ შეიძლება დაკარგო ასეთი ადამიანის ხსოვნა“.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲧᲘᲚᲐᲕᲘᲐ (აფხაზეთის მთავარმართველი): „მინდა, მადლობა გადავუხადო ჯუმბერის ოჯახის წევრებს, აქ შეკრებილ საზოგადოებას. დარბაზში ისეთ სახეებს ვხედავ, რომ აფხაზეთი მახსენდება, ის კარგი წლები, ბედნიერი ახალგაზრდობა. გმირების სახელი ბევრჯერ ვახსენეთ, ასეც უნდა იყოს. ჯუმბერი იყო სოხუმისა და სოხუმელების სახე, სინდისის განსახიერება“.

ᲐᲗᲘᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ: (აფხაზეთის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე): „ჯუმბერი განგებამ სიყვარულის უზღვავი მუხტით დააჯილდოვა. მას ზოგადად ადამიანები კი არ უყვარდა, უყვარდა ყველა სათითაოდ. მის სიცოცხლეშივე აღნიშნავდნენ, რომ ის იყო ქართველების სავიზიტო ბარათი აფხაზეთში. მიმზიდველი გარეგნობა ჰქონდა, კარგი მანერები, იყო ბრწყინვალე თამადა, უყვარდა პოეზია, მუსიკა. ყველასთან პოულობდა საერთო ენას. ვერ მოვესწრებით, მაგრამ, ბედნიერი ვიქნები, თუ 100 წლის შემდეგ ჯუმბერისნაირი ადამიანები იცხოვრებენ საქართველოში...

დღეს ბევრს ლაპარაკობენ ნატოზე, ევროკავშირზე. მაგრამ ვერასოდეს იქნება გამართული ჩვენი ქვეყანა აფხაზეთის გარეშე. სულ რამდენიმე წელიწადი და აფხაზებიც მიხვდებიან, რომ ჩვენს გარეშე გაქრება აფხაზური ენა, კულტურა, მენტალიტეტი. დავიბრუნოთ აფხაზები და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ აფხაზებმა დაიბრუნონ საქართველო!“

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐ (თავდაცვის მინისტრი): პირადად არ ვიცნობდი ბატონ ჯუმბერს, მაგრამ 27 სექტემბრის ტრაგედიამ ჩვენი ოჯახები გააერთიანა. ჩვენ პირობა დავდეთ, რომ ჭირსაც და პატივსაც ცხოვრების ბოლომდე ერთად ვატარებთ. მე არ ვიცი, იქნებიან თუ არა 100 წლის შემდეგ ბატონი ჯუმბერისნაირი ქართველები, მაგრამ აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ასწლეულების შემდეგაც ეცოდინებათ მათი სახელები მომავალ თაობებს.

ჩვენი ჯარისთვის ისინი გმირობის მაგალითები არიან. დღეს ამ დარბაზში ჩემთვის ძალიან საყვარელი საზოგადოებაა შეკრებილი. გჯეროდეთ, რომ, სადაც არ უნდა ვიყო, ყოველთვის იქნება თქვენი ადგილი ჩემს გულში“.

ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ამ საღამოზე ჯუმბერ ბეთაშვილმა კიდევ ერთხელ გააერთიანა საქართველოში მიმობნეული აფხაზეთელები. თითქოს ისიც იქ იყო, თავის საყვარელ ადამიანებთან ერთად. არაფერი აკლდა ამ საღამოს... სოხუმის ზღვის გარდა, სადაც ცრემლიანმა მთვარემ ერთხელ უკვე იბანავა.

თეა მოსია

◎ ვეტერინარული განუკითხაობა

ძაღლები თავს იკლავენ თუ კვდებიან?

წინა ხელისუფლების აბსურდული ვეტერინარული სამსახურის დალაგება, ვერც ხელისუფლებამ და ვერც ხალხმა ვერ შეძლო და მთელს სისტემაში არეულობაა. ვეტერინარიის ცალკეული სამსახურები დამოუკიდებელი და ფასიანი გახდა. დედაქალაქის მერიამ გააუქმა საკუთარი შესაბამისი სამსახური და მის მაგივრად ანალოგიური საქმიანობა კერძო სტრუქტურებთან (მათ ხელდასხმულთან) გააფორმა კერძო, კომერციული ხელშეკრულებებით. ბოლოს ისე გამოვიდა, რომ სანაგვე ბუნკერების შესაწამლავად ცალკე ორგანიზაციასთან იყო ხელშეკრულება დასადები, მღრღნელებისა და მაწანწალა ძაღლების (კატების და ა. შ.) წინააღმდეგ ბრძოლისათვის სხვა ფირმა იყო დასაქმებული. ამ დასაქმებულობითა და განუკითხაობით კარგად სარგებლობდნენ თვითმარქვია „ეკო“ ფირმები და მერიის მიერ ნებადართული საქარბაზოს, კორპუსის დასუფთავების ფულს ხელზე კი არ იღებდნენ მოსახლეობისგან, არამედ მოითხოვდნენ მათ ანგარიშზე ჩარიცხული თანხის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას, მხოლოდ ამ შემთხვევაში ასრულებდნენ დავალებას. თვითმარქვიები კი გარკვეული რაოდენობის თანხითაც კმაყოფილდებოდნენ. აკრეფდნენ ფულის რაღაც რაოდენობას და ამის შემდეგ სამუშაოები ხან სრულდებოდა, ხანაც — არა, ძირითადში მოტყუებული მოქალაქეები საჩივრებით ხანაც მერიაში დარბოდნენ, ხანაც — ჯანდაცვის სამინისტროში. ყველგან ერთი და იგივე პასუხი იყო — მსგავსი დასახელების ფირმები, უწყებები ჩვენთან რეგისტრაციაში არ არის გატარებულიო.

ცოტა ხანში მოსახლეობას ახალი პრეტენზიები გაუჩნდა — სიკვდილი იწყეს არა ქუჩის, არამედ ყველა წესით რეგისტრირებულმა ძაღლებმა და კატებმა.

მოსახლეობა ამას ხან რას აბრალებს, ხან რას. ამ დროს თავი წამოყვეს მერიის შეწამვლის სამსახურებმა. — ხომ გეუბნებოდით შემთხვევით ხალხს ნუ ენდობით, ჩვენი დაიჯერეთო.

ირკვევა, რომ ძაღლებისა და კატების გარკვეული ნაწილი მოკვდინებულია ვირთხის საწინააღმდეგო წამლის მიღების შედეგად.

აქ კი დაიწყო იმის გარკვევა, თუ რომელმა უწყებამ მიმოაბნია მომწამლავი პრეპარატი. თბილისის მერიაში განმარტავენ, რომ ქალაქის სადარბაზოებისა და სკვერების შეწამვლას თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციათა სამსახური აწარმოებს. თანაც იმ შემთხვევაში, აკონკრეტებენ სამსახურში, თუ კი მოსახლეობა მოითხოვს. და ამავე დროს შეწამვლას კერძო კომპანიები აწარმოებენ.

ჯანდაცვის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ პარკებისა და სკვერების შეწამვლის საკითხი მათ არ ეხებათ.

ძაღლების მოკვდინების მიზეზების დადგენისას მოქალაქეთაგან მრავალი საინტერესო მოსაზრებები გავიგეთ: რეზო ღვინიაშვილი (დროებით უმუშევარი) — ისეთი მწარე ცხოვრება დაგვიდგა, ძაღლები შემთხვევით კი არ კვდებიან, არამედ შეგნებულად იკლავენ თავს.

ერთი პენსიონერი კი ძაღლების აგრესიულობაზე გველაპარაკა და საუბარი ერთ-ერთი კლასიკოსის სიტყვებით დაასრულა — „от чего собака кусачая — от жизни собачьеи“.

ზაზა ბილიხოძე

◎ მამლუქი

ქართველი სერჟანტი – ჯიჰადის ლიდერი

(პირველი გვერდიდან)

„წითური გენერლის“ ფსევდონიმით ცნობილი შიშანი დიდი ხანი არაა, რაც „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ ჩრდილოეთ სექტორის, ერაყსა და სირიაში მებრძოლი რადიკალი ისლამისტების მეთაურია. სხვათა შორის, პანკისის ხეობაში — ისლამისტების მეთაურის სამშობლოში — მას სხვა სახელით — თარხან ბათირაშვილით — იცნობენ.

ჟურნალისტი ესაუბრა ომარ აშ შიშანის მამას თემურ ბათირაშვილს, რომელიც აცხადებს, რომ მისი შვილი, რომელიც 2008 წელს რუსეთთან ომის მონაწილეა, რადიკალური ისლამისგან შორს იყო. იგი რელიგიით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც ჯარიდან ტუბერკულოზის დიაგნოზის გამო გამოუშვეს, სახელმწიფომ კი ოპერაციისთვისაც არ გამოუყო თანხა. თემურ ბათირაშვილის თქმით, მის შვილს თავისი სახსრებით მოუწია ოპერაციის გაკეთება, შემდეგ კი მას თელავში სამსახურს დაჰპირდნენ, თუმცა, უშედეგოდ. მისივე ინფორმაციით, თარხან ბათირაშვილს სახლში იარაღით სავსე ყუთი ჩაუდეს და დააპატიმრეს.

— თარხანი ციხიდან შეცვლილი გამოვიდა. არ მახსოვს, რომელი წელი იყო, ერთ საღამოს ჩემთან მოვიდა და მითხრა: „მამა, როგორც ჩანს, ამ ქვეყანაში მე არავის ვჭირდები“. იმ დღის შემდეგ თარხანი აქ არავის უნახავს, — განაცხადა თემურ ბათირაშვილმა.

მისივე თქმით, სამივე მისი ვაჟი მუსულმანი გახდა.

— ჩემი სამივე შვილი მუსულმანი გახდა. მე თვითონ ქრისტიანი ვარ. არც ერთი ჩვენი წინაპარი მუსულმანი არ ყოფილა. ესენი კი უცებ ვაჰაბისტები გახდნენ. გამოდის, ჩემს შვილს საერთოდ არ ვიცნობდი, არ მესმოდა მისი. ამ ჩანაფიქრიდან კარგი არაფერი გამოვა. ყოველდღე საშინელი ახალი ამბის მოლოდინში ვარ. ერთი ინფარქტი უკვე გადავიტანე და ზუსტად ვიცი, თუ რამე ცუდს გავიგებ მის შესახებ, ვერ გადავიტან, უბრალოდ მოვკვდები. არ მჭირდება მე მისი ასეთი ცნობადობა. უკეთესი იქნებოდა, სახლში მჯდარიყო. შიმშილით ჩვენთან არავინ მომკვდარა. შეიძლება, იმისთვის დაიბადა, რომ იბრძოლოს. ის ჭკვიანი და კარგი ბიჭი იყო, არ ვიცი ეს ყველაფერი როგორ მოხდა. ამ ყველაფერში „ნაციონალები“ არიან დამნაშავეები. მიეცათ მისთვის სამსახური, არსად წავიდოდა. განა საქართველოს არ სჭირდება ისეთი მეომარი, როგორიც ისაა? განა ჩვენს ჯარში არ გამოადგებოდათ?, — აცხადებს ომარ აშ შიშანად წოდებული თარხან ბათირაშვილის მამა.

ჩვენი კარაბადინი

ღრმა ძილი

ხანდაზმულ მამაკაცებში ჰიპერტონიით დაავადების გაზრდილი რისკი ძილის არადამაკმაყოფილებელ ხარისხთანაა დაკავშირებული, მიაჩნიათ ამერიკელ მეცნიერებს ჰარვარდის უნივერსიტეტიდან. ჰიპერტონიით დაავადების რისკი იმათ, ვინც ცოტა

დროს ატარებს ღრმა ძილის მდგომარეობაში, 83 პროცენტით მეტი აქვთ, ვიდრე მათ, ვისაც დიდხანს სძინავს ღრმა ძილით.

2007-დან 2009 წლამდე მეცნიერების ჯგუფი სწავლობდა 65 წელზე მეტი ხნის 784 მამაკაცის ძილის ხარისხს. გამოკვლევის დასაწყისში არც ერთ მათგანს არ აწუხებდა მაღალი წნევა, მაგრამ 2009 წლისათვის 243 მათგანს აღმოაჩნდა ჰიპერტონია.

პაციენტები დაჰყვეს რამდენიმე ჯგუფად ღრმა ძილის ხანგრძლივი პერიოდის შესაბამისად. ერთ ჯგუფში იყვნენ პაციენტები, რომლებსაც ღრმა ძილით ეძინათ ძილის საერთო ხანგრძლივობის სულ 4 პროცენტი. მეორე ჯგუფში ჩართეს ისინი, ვისაც ღრმა ძილით ეძინათ საერთო ძილის 17 პროცენტი. პირველი ჯგუფის პაციენტებს ჰიპერტონიით დაავადებაის რისკი ეზრდებოდათ 1,83-ჯერ.

ფაქტს კომენტარს უკეთებს ექიმი-სომნოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მიხეილ პაპიაშვილი:

— დიახ, მართლაც, დაგროვდა ბევრი მონაცემი, რომლებიც ადასტურებენ ძილის ნაკლები დროის კავშირს ჰიპერტონიასთან. მაგალითად, ადამიანებს 30-დან 60 წლამდე ამ დაავადების რისკი 1,6-ჯერ მეტად ეზრდებათ, ვიდრე მათ, ვისაც კარგად სძინავთ.

ხანდაზმულთა ჰიპერტონიის მკურნალობა — კარდიოლოგებისთვის სერიოზული პრობლემაა, ძნელია, ასეთ პაციენტებს შეურჩიოთ პრეპარატების საჭირო ზომა. დამოუკიდებელმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ თუ ჰიპერტონიით დაავადებულ ადამიანებს გავუუმჯობესებთ ძილს ძილის წამლებით, ეს დაავადება მკურნალობისთვის ხდება უფრო „დამთმობი“.

ასე რომ, ღრმა ძილი, მართლაც, ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, რომ რეალურად ვებრძოლოთ ჰიპერტონიას.

ატრიალე პედალი

საფრანგეთში სტარტი აიღო ნახევარწლიანმა ექსპერიმენტმა: იმ ადამიანებს, ვინც ველოსიპედს იყენებს სამსახურში მისასვლელად, ფინანსურად წაახალისებენ.

ნიდერლანდში, დანიაში, ბელგიასა და დიდ ბრიტანეთში უკვე მოქმედებს იმ მუშაკთა წახალისების სისტემა, რომლებიც სამსახურში წასასვლელად ველოსიპედს იყენებენ: ხელისუფლება მათ საგადასახადო შეღავათებს სთავაზობს, იხდის ყოველი კილომეტრისთვის სამსახურამდე და უწევს მატერიალურ მხარდაჭერას ველოსიპედის შეძენის დროს. საფრანგეთში დაახლოებით 20 კომპანია და დაწესებულება, რომელთა შტატებშიც 10 ათასი კაცია, დათანხმდა, გადაუხადოს თავის თანამშრომლებს 25 ევროცენტი ყოველ კილომეტრზე, რომლებსაც ისინი გაივლიან ველოსიპედით სამსახურამდე. ტრანსპორტის მინისტრს იმედი აქვს, რომ წახალისების ასეთი სქემა გაზრდის იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც სამსახურში ველოსიპედით დადიან, 50 პროცენტით ბელგიაში, სადაც ველოსიპედებით სარგებლობის სისტემას იყენებენ უკვე ხუთ წელზე მეტია, ასეთი ტრანსპორტით სარგებლობენ მოსამსახურეთა დაახლოებით 8 პროცენტი. ნიდერლანდში კი — 25 პროცენტი.

აცრებს აუტიზმთან არ მივყავართ

ხმები იმის შესახებ, რომ კონსერვანტები, რომლებიც არიან წითელას, წითურისა და პაროტიტის ვაქცინაში, ხელს უწყობენ აუტიზმის განვითარებას, კიდევ ერხთელ არ დადასტურდა. დაკვირვებებმა 1,3

მილიონ ბავშვზე აჩვენეს: ასეთი კავშირი არ არსებობს, ამტკიცებენ ავსტრალიელი სპეციალისტები.

პანიკა 1998 წელს დაიწყო, როდესაც ერთმა ინგლისელმა მეცნიერმა გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელშიც განაცხადა, რომ 12 ბავშვში აუტისტური მოშლილობა შეიძლებოლდა გამოწვეული ყოფილიყო ვაქცინაციით. სხვა მეცნიერების მიერ მოწყობილმა გამოკვლევამ კავშირი არ დაადასტურა. 2011 წელს კი ჟურნალისტმა ბრაიან დიერმა მოაწყო საკუთარი გამოკვლევა. მან გამოარკვია, რომ ინგლისელი მეცნიერი იყო წითელასგან ალტერნატიული ვაქცინის ავტორი. მაგრამ მთავარი იყო ის, რომ მოშლილობის წარმოქმნის გაჩენის ფაქტები იყო დამახინჯებული, იმ ბავშვების მშობლებმა, ვის შესახებაც იყო საუბარი სტატიაში, აღიარეს, რომ აუტიზმის ნიშნები ხშირად ჩნდებოდა აცრამდე ან მის შემდეგ, თუმცა, რამდენიმე თვის შემდეგ, და არა უახლოეს ორ კვირაში.

მიმდინარე წლის მაისში ექიმებმა სიდნეის უნივერსიტეტიდან გამოაქვეყნეს იმ მასშტაბურ გამოკვლევათა შედეგები, რომლებიც ადასტურებენ: არ არსებობს არანაირი კავშირი აცრებსა და იმ კონსერვანტებს შორის, რომლებსაც იყენებენ, და აუტიზმს შორის.

ქართული ფლორის საოცრება

„სალხინო“ უებარი წამალია

„სალხინო“ აწესრიგებს შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. რეკომენდებულია მასტოპათიების, ჭრილობების, კანის, ლორწოვანი, ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს. რინიტის, ბრონქიტის, პულპიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, პროსტატიტის, რადიკულიტის, ბუასილისა და სხვა ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას.

„სალხინო“ სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭისა და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ **„სალხინოს“** მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

„სალხინოში“ შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებული და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

„სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

- გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
- გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
აცხადებს ღია კონკურსს
აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

სამართლის ფაკულტეტი
საჯარო სამართლის კათედრა
1 პროფესორი

საბუთების მიღება იწარმოებს 2014 წლის 12 აგვისტოდან 2014 წლის 25 აგვისტომდე, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10 საათიდან 16 საათამდე.

კონკურსი ჩატარდება 2014 წლის 24 სექტემბერს.

კონკურსი დასრულდება და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება 2014 წლის 30 სექტემბერს.

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე — www.gtt.edu.ge ან დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომრებზე: 2 66 15 12; 2 24 65 90.

კადრი

ცინცხალი ანეკდოტები

— **მიხო**, თქვენთან რად არ ამოდის ქერი?
— არ ვთესავთ და!..
— მერე რად არ თესავთ?
— არ ამოდის და!..

* * *

სიდედრი ძალიან სასარგებლო ვინმეა! ცუდი მხოლოდ ის არის, რომ პატარა პენსია აქვს...

* * *

— **ახალგაზრდავ**, თქვენთვის ბავშვობაში არ უსწავლებიათ, რომ ტრანსპორტში მოხუცებს ადგილი უნდა დაუთომთ?
— მაგრამ, ბებო, ეს ხომ ჩემი მანქანაა!

* * *

— **რაბინოვიჩ**, თქვენ რა დაამთავრეთ?
— მე არც არაფერი დამიწყია.

* * *

— **თქვენი** გარდაცვლილი ქმარი, ალბათ, კარგი მონადირე იყო, ხომ? — ეკითხებიან დიასახლისს სტუმრები, რომლებიც სასტუმრო ოთახის კედელზე მიმაგრებულ სხვადასხვა მხეცის თავებს ათვალიერებენ.
— არა, — უპასუხებს იგი, — ის ცუდი ვეტერინარი იყო.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24